ბულ თვალებს და არაფერს ამბობდა
ცოლი.

— გეინძერი, შე უჯიშო, ფეხის წყალი
გმითბე.

ერთხელ გამწარა ციცინო მხრებზე
ამოტაფიტულმა მორჩილებამ. გამწარდა
საკუთარ თავზე. საკუთარ ულონობაზე
და შეუუყვირა ქმარს. ახახარდა ჭონდო,
იცინდო ჯამრთელი კაცის უიპრატე-
სობით, მშრალებლის სისასტიკით.

— ვა, ფერდები მეტკინა, ვავ
გოგო ეყოლა ციცინოს ლელა დაარ-

ქვეს. ჭონდოს გაუარა დაცინვის სურა-
ვილობა და ხელშეუხები გულგრილობით
შეიგავშნა.

— თივაა დასაღგმელი, ჭონდო, —
შეახსენებდა ციცინო.

— მერე შენ რას მიეეთებ!

— ძროხა რითი ვარჩინოთ, მარტო
ჩაღა არ ეყოფა.

— რძეს მე არ ვსვამ.

ლელა წამოიზარდა, წვრილი ნაწინა-
ვები აქეთ-იქით ჰქონდა გაფშეკილი და
მუჭაში იცოდა სიცილი.

ფერმაში მიღიოდა გათენებისას ცა-
ცინო. გამგე გამარგვებული ფალავია-
ვით ჩამოუვლიდ მწველავ ქალებს. ერ-
თხელ ციცინოსთან შეჩერდა. თვალი
შეავლო ქალის ფერმერთალ, ფაქიზ ხუ-
ლებს. ხელი შეაშვებინა ძროხის საცხე
ჯიქანს. ხელისგულზე დაიდო ციცინოს
მტევანი და გავირვებით თქვა.

— რა ლაპაზი ხელები გქონაა, ქალი!

ციცინომ თავსაფრისეცვეშოდნა მოხე-
და წყვდიალისცერი თვალებით. ფერ-
მის გამგე აღმოჩენასავით ათვალიერებ-
და ქალს. ციცინომ არ მოაშორა სილრ-
მეში ჩაკარგული მზერა. გაიცვესა ქა-
ლის თვალებში ულმობელმა დაცინვამ
და გაიფიქრა.

— ესეც კაცია, ჭონდოსავით კაცი.

გამოართვა ხელი და წინსაფარზე შე-
იწინდა. გამგე დასუსტულივით გავიდა.



კალთები შეიბერტყა გულჩავეულ-
მა ზამთარმა. შეშას აწყობდა ციცინი-
ღუმელში და თმაზე აღნებოდა გარედან
შემოყოლილი თოვლის ფანტელები. გაცრეცილ
პირისახეზე ცეცხლის შუქი
ედგა და ღუმელთან ჩაჩოქილს უცნა-
რად უელავდა თვალები.

ნავახშევეს ჭონდო ტახტზე წამოწვა-
თვალი გააყოლა ცოლს და მთქნარებით
თქვა:

— ძილი არ დამიფრთხო, მოჩევენება-
სავით დადიხარ. — ციცინო განკით-
ხვასმიწული მღუმანებით მიაჩერდა. თვალი
შეავლო მის დაბერილ ქუთუ-

თოებს, პირისახეს, დაცინვისათვის გამზადებულ ბაგეებს. თვალით ასამართლებდა ფიზიკური ღონით გამაძლარად მიმიანს. ჭონდო იძრია.

— ნუ მიყურჩ მასე!

ცოლი იდგა გარემოცული ლირსეული დუშმილით. ჭონდომ ხელი წამოავლო კარდალას და ესროლა. სისხლმა იფეთქა ციცინოს შუბლიდან. ბავშვმა იყვარლა და დედას აეკრა კალთაზე. ციცინომ ერთ ხანს ორ დაარღვია ზღუმარება, მეტე ხელი აიფარა სახეზე და ატიტდა. ზამთრის ცივ დილას თბილად შეფუთა ციცინომ ბავშვი და ფეხით დაადგა სოფლისაკენ გზას. დედმ არაფერი შეიტყო. ხავაპურები დაუცხო, რძეს თავი მოხადა, თხის ჯამებში ჩასხა და აქმა შვილიშვილს. მერე რადიოს აუწია

„ვისია, ვისია, ქალი ლამაზი“... — მღეროდნენ რადიოში.

ციცინოს მონატრებოდა ბავშვობის-დროინდელი მოგონებებით ცხოვრება. მონატრებოდა ოცნებებით მოხატული ოთახი. თავისი საწოლი, ნებიერი უსაქმურობა. თითქოს აღარ ასესებობდა ჭონდო და აღარც ტკივილს გრძნობდა მკერდევეშ.

დიდთოვლობისას ციცინო ქალაქში ჩამოიყანა დედმ საექიმოდ.

საოპერაციოა, — თქვა მაღალმა, სანდომიანი სახის პროფესორმა. დაჭრილ ნუკრს მიუგავდა გოგოს თვალები, როცა საავადმყოფოს კართან მდგარ დედას უყურებდა.

იწვა ლოგინზე ციცინო, მოთმინებისაგან კულასავით დაცლილი. იწვა ავადიობისგან დაკონკილი, დაღალულ გონებაში წყნარად შარიშურობდა ფიქრი. დედის სიტყვები გაასენდა ბავშვობაში ალექსისას რომ ეტყოდა:

„შენ შემოგევლოს შენი დედის თვალები, ჩემო სიცოცხლევ!“ ლელას სახე დაუდგა თვალში. გაასენდა მეზობლის ქალმა რომ შეუყვირა ლელას, გაასენ-

და შვილის გულდაწყვეტილი სახე ცრემლი დაედინა სისხნაყლულ ლოყაზე. უცებ ექიმი ქალის ხმი მოესმა. მისი გამაბრუებელი სურნელიც იგრძნო და მწარედ გაეღიმა.

— წარმოიდგინე, მისდღემში უანგა. როდ იყეობდა ყველაფერს, ვინმეს დახმარება იყო, უმაღლესში მოწყობა თუ სხვა რამ, მუდამ მაღლობა ჰყოფნადა.

ქალს გაეცინა, ლალად, უზრუნველად.

„ალბათ რა კარგად აცვია“ — გაიფერა ციცინომ. ციცინოსათვის უცხო ჩვეულება იყო უდარცელობა.

არც ქალური სიყეკლუცით და ნელ-საცებით უსარგებლია ოდესმე.

გული დასწუდა ფლანელის კაბის გამო, თავისი ნაჯაფი ხელების გამო. ლელას გადასწუდა ფიქრი, შემოღვიმაზე სკოლში წავიდოდა. ციცინოს დაენანა, რომ ვერ ასწავლიდა კულტმსახურებს ანბანისს. ვერ იგრძნობინებდა ამ სიტყვების სილამაზესა და უბრალოებას.

„ეკეეს გოშია შავია, გოშია ავია“.

— საოცრად პატიოსანი ქალია საწყალი.

მოეყურა ექიმი ქალის დაბანგული ხება.

ამ სიტყვებმა გამოაფხიზლა ციცინოს გონება.

გუკვირდა, ექიმი ქალი ძალიან რამდენ კვეირობდა, და თანაუგრძნობდა პატიოსნებას. გაეხარდა, და წამით რამე უპირატესობის მოპოვებს ეცად, მაგრამ გაიფიქრა, რომ გასაცოდავებული პატიოსნებით ვერას გახდებოდა და სინანულმა ნესტივით გაუონა დაღლილ თვალებში. გონების მილევის ეის უმოწყალოდ დამტკინა თავის უიღბლობას. მერე იგრძნო, როგორ შეუშსუბულდა მკერდევეშ სატევარივით ჩატენილი დარღი. მერე სხივჩამკვდარი თვალებით მიაცივდა საავადმყოფოს ცენტრალური გათბობის მილს.

რ ი გ მ ი

კირილე მანწყავა შესვენებაზე გამოვიდა სამსახურიდან. ცოლმა ერთი ფუთი დავალება მისცა. მაღაზიებში კოდის ქათმები, ბურვაკის ხორცი და ღიერტური კვერცხი უნდა ეყიდა. ბაზარში კი ენდრო — კვერცხების შესაღებად.

შესვენებაზე კირილე ორ ღვეზელს ჭამდა. ღვეზელი ღვიძლისა იყო, იაფიც ლირდა, მაგრამ ანწლის არაყივით მიჩვევა უნდოდა. კირილე ჭიქა ლალიძის წყალსაც დაყაყლებდა ხოლმე და საუზმე დამთავრებული ჰქონდა. სეთი დროსტარება 25 კაპიკი ლირდა, თითქოს არც იყო სასხვენებული, მაგრამ მანწყავა რესპუბლიკის დამსახურებული ბუღალტერა იყო, გული არ უმენდა, დაწახარჯი ყველა სამუშაო ღვეზე გაემრავლებინა. ახლა ის ორი ღვეზელი და ჭიქა წყალი ოჯახის „გასავლის“ გრაფაში ყევნივით იჯდა. მენის შეცვლა კირილე მანწყავას აზრადაც არ მოსდიოდა, პირიქით, შაბათ-კვირას, როცა შინ იყო, შეუჭმელი ოთხი ღვეზელი მოსვენებას არ აძლევდა.

პატარა ფარდულობან, სადაც კირილე საუზმეს მიირთმევდა, ერთი და იგვენალხი იყრიდა თავს: მწვანეშლაპიანი კაცი, ორი აწოწილი ქალი, ერთი ღიპინი და ერთიც სათვალეგატეხილი პენსიონერი. კირილე ყველას იცნობდა, ისინიც, რა თქმა უნდა, იცნობდნენ. მაგრამ ფარდულის წინ, ღვეზელით პირგამოტენილი იმდენერ მდგარან,

რომ ძალაუნებურად ერთმანეთს თვალს არიდებდნენ. ზოგი ზურგშექცევითაც იდგა, აქოდა, შემთხვევით შეეჩერდი, თორემ მე სტაჟიანი ღვეზელისმჭამელი არა ვარო.

დღეს კირილე ღვეზელის შეჭმას ვერ მოასწრებდა. უხაროდა, რომ წელგამართული მივიღოდა ორშაბათს, ირონიულად გადახედავდა სტაჟიანებს, აგრძნობინებდა, მანწყავა ამქვეცნად მხოლოდ ღვეზელის საჭმელად კი არ იყო დაბადებული, არამედ დიდი საჭმეები ჰქონდა და და თავისუფალ წუთს თუ იპოვიდა, რესტორანში საუზმობდა.

მაგრამ ორშაბათამდე მიღწევა უნდოდა და ცოლის დავალებას კი — შესრულება.

კირილე თავჭუდმოგლეჭილი შევარდა მაღაზიაში. ჭერ კიდევ ჭეჩიდან დაინახა, რამდენიმე დახლის წინ გრძელი რიგი იდგა. კირილემ ელვისისწრაფით დაიკავა სამი რიგი, თუმცა არ უკითხავს, რას ყიდდნენ. რაც უნდა გაეყიდათ, კირილეს მაინც არ ექვებოდა.

რიგში წინ და უკან მდგომი მოქალაქენი კირილემ თავაზიანად გააფრთხილა, რომ მას აქეთ-იქით სირბილი მოუწევდა და დაემახსოვრებინათ. მოქალაქებმა თანაგრძნობით გაუღმეს და კირილეც თავდადებით შეუდგა რიგი დან რიგში გადარბენ-გადმორბენას.

იქ, სადაც კვერცხს ჰყავიდონდნ, კირი-

ლე მსუქანი, ლურჯპალტოიანი ქალის უკან იდგა. ბურვაკის ხორცის რიგში მანწყავის წინ კოჭლი, ცინგლიანი გოგო აღმოჩნდა. ქათმების რიგში კი, ხოლიდური გარეგნობის კაცი ისე დაფიქტებული იდგა, კირილებ მყუდროება აღარ დაურღვია და ჩრდილივით გაეპრა კედელს.

მასავით შესვენებაზე გამოსულნი საათზე მალიმალ იყურებოდნენ. კირილებაც ასესნა, „ლროში ვარ ვაჭედილიო“, მაგრამ იქვე ენა მოიკვენტა, რიგმოთავებულებს საზეიმო მარშით გაპქონდათ მაღაზიიდან ნავჭრი.

კირილეს ძალიან უყვარდა მოვლენების ისე დალაგება, როცა ბოლოს მოსახდენი მის წარმოსახებში ჟავე მომხდარი იყო და დამსახურებული ბულალტერი წინასწარ ტებებოდა შეუმცდარი და ზუსტი შედეგით. ახლაც მანწყავათავის თავს მძიმედ დატვირთულს ხედავდა. ერთ ბაღურაში ბურვაკის ხორცი იღო, არა ისეთის, ლორად რომ ქცეულა და ბურვაკად კი ჰყილიან, არამედ ნამდვილი, დამწყები ბურვაკის. მის გვერდით უსირცხვილო ფეხები აეფშიკათ ჩაყვითლებულ, გამოცდილ ფელებს. მეორე ბაღურაში კი თეთრად ქათქათებდა დიეტური კვერცხი, რომელზეც მხოლოდ... გუშინდელი რიცხვი ეწერა.

ისე გაერთო კირილე ამ ფიქრებში, რომ სიხარულისაგან თვლემაც კი მოერთა, მაგრამ უცებ თვალები გამოაჭყიტა და დაინახა, რომ მსუქანი, ლურჯპალტოიანი ქალი დახლთან მისულიყო. მანწყავამ კოჭლ გოგოს დაუბარა, ახლავე მოვალო და კვერცხის რიგისაკენ გაიქცა.

— მოქალაქე, თქვენ სად იდექით? — ჰყითხა კირილეს მყაცრი გარეგნობის, ჭოხივით გაროვილმა ქალმა.

— აი, ამ ქალბატონის უკან, — მიუთითა კირილემ ლურჯპალტოიანზე.

— იდგა? — დაეკითხა გაროვილი მსუქანს.

ლურჯპალტოიანმა ჩანთა კვერცხით

გააქსო, რაღაც თავისთვის წაილულურ და და წავიდა.

— ვიდექი, ბატონი! — სასოწარევე-თით გაიმეორე კირილემ.

— ურიგოდ ნუ მიძვრები! — აყაყან-დნენ რიგში მდგომა მოქალაქენი.

მანწყავიმ შეშინებულმა გახედა წამობრიალებულ თვალებს და უცებ, მწვანეშლაპიან კაცში იცნო სტაუიანი ღვეზელის მჭამელი. მწვანეშლაპიანმა მაშინვე დაადასტურა, ეს კაცი რიგში იდგა, ის ქალი კი ცნობილი ინტრიგანიაო. — თუ ასეა, რას ვერჩით.

— მიბრძანდი, ბატონო.

— მღვარა რიგში, — თავი წამოყვეს აქეთ-იქიდან დამცველებმა.

კირილემ ფული ვაღაბიხადა, მაგრამ დიეტური კვერცხის ყიდვის სიხარული საღლაც გამჭრალიყო. ზურგზე ოფლიანი პერანგი მიწებებოდა. ფეხები თითქოს ბამბისა ჰქონდა, ნაბიჯებს კი დგამდა, მაგრამ ტერფების სიმკვრივეს ვეღარა გრძნობდა.

ცინგლიანი გოგო გულისფანცეპალით მოათვალიერა რიგში და როცა დაინახა, არც ისეთი ულამაზო ყოფილაო, გაიფიქრა.

— გაგაბრაზეს, ძია? — ჰქითხა გოგომ.

კირილეს ისევ აეწვა ლოყები. მაშ, კვერცხის რიგში ატეხილი ყაყანი ამათ უურამდეც მოსულა. კირილემ რიგს გახედა და დაინახა, ყველა გნობისმოყვარეობით უურებდა. ზოგა თითქოს საქციელს უწონებდა, ზოგა ფარულად შენატროდა, დიეტურ კვერცხზე ხომ მხოლოდ გუშინდელი რიცხვი ეწერა. თანდათან კირილეს გუნება შეეცვალა. მან, როგორც პრაქტიკულმა კაცმა, სახელდახელოდ იანგარიშა: „განა ლირს ვიღაც უცნობების აყალმაყალს ყურადღება მიგეცციო? კვერცხი ივიღო, საღაცა ბურვაკის ხორცისაც ავიღებ, მერე ქათმებსც და...“ კირილეს მზერა ქათმების რიგისაკენ გაექცა და იმხელაზე შეხ-



ტა — ტრავმის მიღებამდე ვალერი ბრუშელი რომ ხტებოდა. სოლიდური ჭარი დახლს მიახლოვებოდა. კირილებ ცინგლიან ვოგოს წვრილ-შვილი შეავედრა და ქათმების რიგისაკენ მოუსვა.

როცა რიგში თავისი ადგილი მონახა, სოლიდური კაცი მისკენ შემობრუნდა და ძალიან ჩუმად და ძალიან სერიოზულად ჰქითხა:

— თუ მიხვდები, რა მაქვს ახლა მე ჯიბეში?

კირილებ არჩია შეკითხვა ხუმრობაში გაეტარებინა.

— რას იღრიშები? — უკმეხად ჰქითხა სოლიდურმა კაცმა.

კირილებ მანქავა თავმოყვარე კაცი იყო და ამ სიტყვაზე გაშეშდა.

— ვინ არის გიეი? — ჰქითხა ისევ სოლიდურმა კაცმა, გუუქანა და კირილეს სილა გააწნა.

გნიასი ერთბაშად ჩატერა. ხალხი გაისუსა. თოთქოს ვერც ხედავენ და არც ესმით, აქ რა ხდებათ.

მანქავამ კვლავ გაღიმება სცადა, რადგან გაახსენდა, ასეთ ინციდენტებს მსხვერპლიც მოყოლი, მას კი კვარტალური ხარჯთაღრიცხვა დასამთავრებელი ჰქინდა, თანაც საყვარელი ცოლ-შვილი ჰყავდა.

სოლიდურმა კაცმა იფიქრა, კირილენამდევილად დამცინისო. და ახლა მეორე ყბაში სტკიცა სილა. მერე სრულიად დაშვიდებით ქათმები აარჩია, ფული გადახადა და წაგიდა.

— როგორ გავვილახეს პატიოსანი კაცი, — თქვა ვიღაცამ.

გატრუნულმა ხალხმა ერთბაშად ენა ამოიღა.

— მილიციელი სათოფედ არ მიეკარება ამისთანა საქმეს.

— კეთილშობილი აღამიანია, საწყალო.

— აბა, იმ გიეს ხომ არ აყვებოდა! — ისმოდა აქეთ-იქიდა.

გამყიდველმა კირილეს, როგორც „დაზარალებულს“, კარგი ქათმები მის-

ცა, ხურდაც ჩაუთვალი და თავაზიანი მშერით გააცილა. მანქავამ ახლა ერთობლივ სული ჰქინდა ქუჩაში გასულიყო, სადმე დამალულიყო და ეს თავისმოჭრა მოენელებინა. მაგრამ ცინგლიანი გოგო დახლს ტკაპასავით მიწევებოდა და კირილებ თავშალუნულმა შეალაგა ბურვაკის რიგში.

ხორცის გამყიდველი წითელლოყება, შავულვაში ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ცხოვრებაში გზა უკვე მოენახა, ღია და ლაბაბი დასდებოდა.

ცინგლიანი გოგო შემობრუნდა და კირილეს გაულიმა.

— აქ ვიდექი, ბიძიუ.

— ძალა, ვინ იყო ის კაცი?

„რას შემომიჩნდა ეს ძალის ლეკვი“, — გაიფიქრა კირილებ და არაფერი უპასუხა.

გამყიდველმა გოგოს რაღაც შეაჩერა, კირილე კი მცოდნე კაცის თვალით აზომა. მანქავამ სცადა, წელში გასწორებულიყო და პატივსაცემი პიროვნების იერი მიეღო, მაგრამ ისედაც ფერმერთალს, ახლა რა ფერი ეღო, ვერ გერიცოდათ, გამყიდველმა უყურა კირილეს, მერე დახლებემოდან ბარკალი გამოიღო და ორად გაჭრა.

„ბედი მწყალობს“, — გაიფიქრა კირილებ და ყველაფერი დავიწყებდა, რაც კი ამ მაღაზიაში შემოსელის მერე შეემთხვე.

ორად გაჭრილი ბარკალი გამყიდველმა ცალ-ცალკე გაახვია და ისევ დაახლევემოთ შეინახა.

— რა გინდა? — ჰქითხა კირილეს.

— ხორცი, — მორიდებულად უთხრა კირილებ. — ბურვაკი ხორცი, — უმალ მოწიწებით შეასწორა.

— ძუძუს გოჭი არ გინდა? — დაიღრიალა გამყიდველმა. — მამაცხონებულო, ბურვაკის ხორცი ბაზარში ექვსი მანეთი ლის..

— შენ რომ მოგეწონება, ისეთი ამირჩიე, — დიდსულოვნად დაუთმო კირილებ.

მე რო მამეწონება... — ბურტყუნებ-



და გამყიდველი, შეჯაგრულ ხელები, აფათურებდა, რალაცებს ერთმანეთზე აწყობდა, იქ შეკტრა, იქ შეაცოცა, მერე ყველაფერი სასწორზე გამეტებით დააგდო და ზედ პალისავით სქელი თთიც დაუჭირა, აქოდა, არ გაძმოვარდესო.

— ცხრა მენთისა, — უთხრა კირილეს და წინ დაუგდო.

მანწყავის ხმა არ მოულია, გამშრალ ყელში ნერწყვიც კი ვეღარ გადაჭლაპა, ჭიბიდან ფული მოილო და თვლა დაუწყო.

— ფული აღრევე უნდა დათვალოთ!

— შესვენებაზე ვართ გამოსული.

— ინვალიდია, ვინ არის? — აყაყანდენ რიგში.

— კირილემ ფული დათვალა და ძლიერდა მოლერდა.

— ცხრა მანეთი არა მქონია. რაც არის, ამისი მომეცი.

— შენც ერთი, გააწყალე გული! —

დაიღრიალა გამყიდველია, — ერთი სა-
ათი გიშონიდი, ხმა ვერ ამაიღე? ეგეთი
ნაცერი უნდა გავაფუჭო? — სტაცა ხე-
ლი შეცვეულს, კუნძზე დაახეთქა, რაც
კარგი იყო მოილო და ხელმეორედ და-
ვალ სასწორზე.

— 7 მანეთის და 70 კაპიკისა... 20
კაპიკიც შენი ფეშავში იყოს, — წააყ-
ვედრა კირილეს.

მაღაზიილან გამოსული მანწყავა კარ-
გახანს დაბნეული იღვა. ტარხუნისა და
ენდრის საყიდელი ფული აღარა ჰქონ-
და, ის კი არა, ჭიბეში ტროლებუსი
ფულიც აღარ დარჩენოდა, შინ ფეხით
მოუწევდა წასვლა. ჭერ თითქოს შეფიქ-
რიანდა, მერე მოათვალიერა სავსე ბა-
ლურები და შევბით მოისუნთქა. ცო-
ლის დავალება შესრულებული იყო. ახ-
ლა შეეძლო, დასასვენებლად და სულის
მოსათქმელად სამსახურშიც შეველო,
სადაც, ვინ იცის, რამდენი წელია, ერთ-
გულად და უხმაუროდ მუშაობდა.

პირიანი ქავი

კვირიაძალს გოჩიტამ, შავ ნაბადზე გაწმენდილი სახე რომ ჰქონდა და სო-
ფელში „ჩირნას“ ეძახდნენ, ფეხი წაყო
ახალ კირზის ჩემებში, მხრებზე პიჯაკი
მოიხურა და ჭიშკარი გამოალო.

— სად მიხვალ, კაცო? — დაუძახა
ელისაბედმა.

გოჩიტამ ცოლს გაოცებით შეხედა.

— გავალ, ბიჭებს ვნახავ.

— მაგისთვის გვცალია? მოდი, ეს
ვარცლი მომაწოდე.

გოჩიტა მოტრიალდა და ვარცლი მი-
აწოდა.

— ეხლა მარანში შედი და ფქვილის
ტომარა გამოიტანე.

ტომარაც გამოუტანა გოჩიტამ.

— ეხლა მოდი და ბატები დააპურა.
ეს კი ვეღარ მოითმინა გოჩიტამ.

— შენ რაღა უნდა გამიკეთო? —
იყვირა გამწარებულმა.

— მასამსახურედ კი ვერ დაგიღე-

ბი, — აიფოფრა ელისაბედიც. — საქ-
მე შეაზე უნდა გავიყოთ.

— კირაძალია, შე დალოცვილო, ცო-
ტას გავივლი, გავიგებ, რა ხდება ქვეყა-
ნაზე.

— მაგას გაზეოთებილაც კარგად გა-
იგებ.

ცოლის დავიდარაბის მიუხედვად,
გოჩიტამ გაზეოთები მაიც გამოიწერა და
ახლა ელისაბედი სამაგიეროს უხდილა.
როგორც იყო ცოლს გამოეხსნა, მაგრამ
ნეტავ არ წასულიყო — ელდამბავი
მოიტანა.

— ბატები უნდა ჩავაბაროთ, ქა-
ლო, — უთხრა ცოლს. — თავმჯდომა-
რეს დაუბარებია.

— შენ ხომ არ გადაირიე? — შეუზ-
მუკუნა საქმეში გართულმა ელისაბედმა.

— ცოცხალი ჩავაბაროთ, წონაში
მეტი გამოვა.

— ბუმბული?! რამოდენა ფულია!
როგორი ბალიშები კეთდება!

— ცოცხალს თუ ჩავაბარებთ, — და-
ინგარიშა გოჩიტამ, — წონაში მოვი-
გებთ... თუ დავკლავთ — წონაში დაგ-
ვაკლდება, მაგრამ ბუმბული დაგვრჩე-
ბა. ეხლა შენ თვითონ არჩიე, გინდა
დაკალი და გინდა ცოცხლი ჩაბარე.

— არც ერთს ვიზინ და არც მეო-
რეს, — უთხრა ელისაბედმა და მაგრად
წაიქრა შუბლზე ხილაბანდი.

— თავმჯდომარე გეგმას ვერ ასრუ-
ლებს, ამოღენა ბატი ვიყავდეს და ხე-
ლი არ გავუმართოთ?

— აი, დარდი! — წამოიძახა ელისა-
ბედმა. — გეგმას ჩემი იმდით იღებ-
და? იქნებ მე ბატი არ მყოლებოდა?

— ფულს მოგვცემს, საქმეში ჩაგვეთ-
ვლება, დედაკაცო...

— შუბლზე მიიქრას თავისი ორი შა-
ური, — დაიყვირა ელისაბედმა. — რაც
ამ ბატებს ბუმბულს გავაცლი, იმისი
საფასური ტერენტიმ რა უნდა მომცეს?
გოჩიტა ამრიშა.

— ეგრე არ გამოვა, ელისაბედ, პი-
რიანი კაცი ვიყავი და უბირო ვერ გავ-
ხდები.

ელისაბედი გაღმოენთო.

— რატომ არ დაგიდუმდა ენა!

— ეგეოებს თავი დანებე, — შეთ-
ხელვბული ულვაშები შეისწორა გოჩი-
ტამ.

— ტერენტის ბატებს არ ჩავაბარებ,
— მტკიცედ თქვა ელისაბედმა.—ნელ-
ნელ დავკლავ და გავყიდი. საშვილო-
ემბროდ გავყიდი, სახალწლოდ გავყი-
დი, სამაისოდ გავყიდი. ნახე, თითო ბა-
ტი ოც მანეთად თუ არ გაგაყიდინო!

— ვერ გავიგია, ქალო, — დაუყვავა
გოჩიტამ, — კაცს გეგმა უჭირს... ისე-
დაც ჭიანხეველებს გვეძახიან. დაჭიანე-
ბულები ხართო, გამოჩერჩეტებულები,
გამორეგვენებულებიო. ეხლა ეს გეგმაც
რომ ჩაუვარდეს — სოფელი ცოდო არ
არი?

— მეც გეგმა მაქვს! — გაფეცხული
ელისაბედი. — ვერა ხედავს შენი და-
საბრძავებელი თვალები მაჩნის კედე-
ლი ჩამონგერულია. ფანჯრის ჩარჩო-
ები დაბალია. კარების გული ჭიას გა-
მოუქამის. ქვევრები სულ ჩაყირულია.
ამ სკამს ფეხის მაგირ ჭოხი აქვს შე-
უნებული. მაგიდა გადაქცეულია, ჯამ-
ურქელი დამტკრეულია... ხედავ, რა-
მოდენა გეგმა მაქვს?

გოჩიტა გაჩურმდა. ცოლის ნათქვამი
ჰქონიში უჯდებოდა. სოფელში ტყუილად
როლი ამბობდნენ ელისაბედზე, ქვას
ხელს მოუქერს და რძეს გამოადენს.
მაგრამ გოჩიტა სიტყვის კაცი იყო...

— უბირო არასოდეს ვყოფილებ და
რც გამაწინებებ, — უთხრა კარგა ხნის
ფეხის მერე გოჩიტამ.

ბეგრი ივიშვიშა ცოლ-ქმარმა და ბო-
ლოს ისევ დედაკაცის ჰქუმ აჭიბა.

— ოცი ფრთა დავკლათ, გავტუროთ
და ჩავაბაროთ, — თქვა ელისაბედმა,—
შენც პირიანი გამოხვალ და ტერენტიც
ქაყაფილი დაგირჩება. დანარჩენს ლა-
შე ზაქარიში წავისხამ და იქ ჩემს და-
თან დავაბინავებ. სოფელში კი ხმა და-
ვაგდოთ — დაგვეხოცა.

გოჩიტამ გახარებულმა შემოხედა.

— როგორ გარეკავ ზაქარიში?

— დაბინდებულზე ტყე-ტყე გადა-
ვალ.

— ავაშენოს ღმერთმა!

მეორე დღეს გოჩიტამ ოცი ბატი ჩა-
უტან კოლექტურნების თავმჯდომარეს.
ტერენტიმ ცავად გადუხადა მაღლობა.

— რამდენადაც ვიცი, ასი ფრთა
გყავდა!...

— მყავდა და დამეხოცა. შენ რა, ან-
გარიშებსა მთხოვ? — იყვირა გოჩიტამ
და ნაწყენი შინისაკენ გამოქანდა.

დალლილი ელისაბედი კი ეზოში ტრი-
ალებდა და ქმრის დაბრუნებას მოუთ-
მენლად ელოდა. უცებ ჭიშკრში შე-
მოიჭრა ათითოდ წლის გოგონა, რომელ-
საც სიბილისაგან ლოკები დასწილე-
ბოდა. ღისშვილის დანახვაზე ელისა-
ბედს მუხლები მოეკვეთა



— ხომ მშვიდობაა, ნატო? — დაუძა-
ხა შორიდანვე ელისაბედმა. გული რას
ამინიცე? — და მთაბლოებულ გოგო-
ნას ჭიქით წყალი მიაწოდა.

— დედამ მითხრა, ჩქარა იარეო.

— ეგეთი რა მოხდა?

— ბრიგადირმა ჩამოიარა ეზოებში.

ჩვენი კოლმეურნეობა ხორცის ჩაბარების
ბის გეგმას ვერ ასრულებსო... დედა-
ჩემმა სულ თავში ირტყა ხელები.

ელისაბედი გაშტერებული მისჩერე-
ბოდა დისწულს და არ იცოდა რა ეთქვა.
უველა სიტყვა დავიწყებოდა.

ნ რ ე

საპროექტო სახელოსნოში, სადაც
ლადო მელაძე მუშაობდა, თანამდებო-
ბებიც იყო განაწილებული და სიყვარუ-
ლიც. შვიდი ორიტექტორიდან სამი
ჟალი იყო. სამ ქალს ერთ კოლეგზე
ჰქონდა გმირათული ფარული კონკურ-
სი და სამი, კონკურსგარეშე დარჩენი-
ლი მამაკაცი სიყვარულს სხვაგან ეძებ-
და. ლადო მელაძე ამ სამთავანი იყო.
ოცდაცამეტ წლამდე ისე მივიდა, ცო-
ლის შერთვა აზრად არ მოსვლია, ახლა
მით უმეტეს, ამზე არ ფიქრობდა,
წვერ-ულვაში რომ მოუშვა და ყინწვი-
სის ფრესკებზე რესტავრირებულ ქრის-
ტეს დამსგავსა. ეს ხელს არ უშლიდა
ლადოს, ყოველ ნაბიჯზე რომანი გაეჩა-
ლებინა და კითხვის ნიშნით დაწყებული
ფლიტრი წერტილით დაემთავრებინა.

ტაბიური სახლის პროექტს კი ვერა-
ფერი მოუხერხა. სახლი უსათუოდ ოთ-
ხსართულიანი უნდა ყოფილიყო, ორი
სადარბაზო და ბრტყელი გადახურვა
ჰქონდა, ქალაქის უკვე აშენებულ
ახალ უბანში უხმაუროდ დაეკავებინა
თავისი იდგილი, როგორც სუფრაზე და-
უპატივებლად მოსულ ლარიბ ნათესავს.
ქალაქის ის უბანი დაბლობში იყო და
ხელიფი თავისთავად მოითხოვდა მაღ-
ლივ ნაგებობას, თანაც იქიდან შესა-
ნიშნავი ხედი იშლებოდა. მაგრამ არც
სახელოსნოს უფროსს და არც ქალაქის
კაპიტალური მშენებლობის განყოფი-
ლებას პროექტის შეცვლაზე ფიქრიც
არ უნდოდა.

— მოგვცეს ოთხი სართული და და-
ეტივ, — უკმეხად უთხრა ლადოს კა-

პიტალური მშენებლობის განყოფილე-
ბის უფროსმა ვაჟა მაჩაიძემ. — გახელ-
ნილ ცხენს რა სჭობია!

ლადოს კი გაუხელნავი ცხენი უნდო-
და, ისეთი პროექტი, რომელსაც თავი-
სებურად გაიაზრებდა, რელიეფს შეუ-
ხამობდა, მზის განათებას გათვალისწი-
ნებდა. ვაჟა მაჩაიძის ვეტომ ფრთხები
ჩამოუყარა, დალონებული დაბრუნდა
საპროექტო სახელოსნოში და სამუშაო
მავიდას მიუჯდა.

ქალთა ფარული კონკურსის ლიდერი
ლია ხატისკაცი დღეს განსაკუთრებით
დაშექრულიყო და მორბევებული თვა-
ლებით უცქეროდა ლადოს. სხვები სად-
ლაც თაბირზე გატრეფილიყვნენ და
სედაც სულაწრიალებულმა ლადომ
დიღხსანს ვერ შეძლო თავის მოკატუნება.
სიგარეტს მოუკიდა, რომ ენაზე დაგო-
რებული ქათინაური შეემოშებინა და
ლიმილით გახდა ლიას.

— თავს რატომ იქლავ, ლადო, —
უთხრა ლიამ. — ამ კვარტალში პრე-
მიას მაინც არ მოგვცემენ.

— არ მიყვარს დღეის გასაკეთებე-
ლის გადადება.

— სულაწრაფი ხარ, ლადო!

— მე? — თვალები დაჭყიტა ლა-
დომ, რადგან პროექტის ჩაბარების ვა-
და სახელოსნოს უფროსს ორჯერ გადა-
აწევინა და ახლაც კარგახანს დამთავრე-
ბის პირი არ უჩანდა.

— რატომ გაგიყვირდა? — ლია სი-
ცილით გვერდით მიუჭდა და სიგარეტს
დასწულდა.

ლადომ ცეცხლი მიაწოდა, ქალმა
ლრმა ნაფაზი დაარტყა. ოთახი სიგარე-
ტისა და არაბული ნელსაცხებლის სურ-
ნელით აივსო. უცნაური სისუსტე
სკირდა ლადოს. საკარისი იყო სურნე-
ლი რაღაცისათვის მიყმესგაცხებინა, რომ
წარმოსახვით მაშინვე იქ გადასახლებუ-
ლიყო.

ლია სწევდა სიგარეტს და ფანჯრებ-
ზე ტილი თახახი იქსებოდა ტანკენარი
არაბი გვგონების შემპარავი ღიმილით,
თვალების უჟურნითა და გაწვეტამდე
მისული მოჩურჩულე მუსიკით. ირგვ-
ლივ ყველაფერი ცეკვავდა. ლადო თვა-
ლებებურთობებული მისჩერებოდა სხე-
ულების ნაჩნარ რჩევას... ლია კი სწევ-
და სიგარეტს და მუხლებზე აცურებუ-
ლი კაბა ყოველ წამს უმატებდა თთახს
სითბოს.

— საღამოს რას აქეთებ? — ჰეითხა
ლიამ.

— სამუშაო მაქეს.

— ისევ სამუშაო, — გაიღიმა ლიამ. —
ხომ ხედავ, სანამ შეფი პენსიაში არ გა-
ვა, უფროსად არ დაგვამენ. რაზე იყ-
ლავ თავს?

ლადოს უნდოდა შექამათებოდა, მაგ-
რამ დაეზარა. ლია მართალს ამბობდა.

— სად წავიდეთ?

— მთაწმინდაზე. არ დაიხუთე ამ სო-
რაში?

— გაწვიმდება?

— შევეფარებით, — ლიას თვალებში
ეშვაური სხივი დაეწურა, მოეჩვენა,
რომ ლადო ფეხს ითრევდა.

სანამ ლადო თავის მაგიდას ალაგე-
და, ლიამ თმა დაივარცხნა, მერე წინ
გადაიხარა და უქრაში რაღაცას დაუწ-
ყო ძებნა. ლადომ თვალი გააპარა და
აშოლტილი, მოშოშვლებული ფეხების
დანახვაზე სული შეუგუბდა. დღეს დაი-
ჯერა, რომ ლიას მშვენიერი ფეხები
ჰქონდა. ეს აღმოჩენა ლადოსათვის ძა-

ლიან მნიშვნელოვანი იყო. მისთვის ქალაქის
მაზი ქალი ფეხებიდან იშევდოდა. საბურილი
გარეთ რომ გამოვიდნენ, ქალაქის
მოძრაობამ, ხალხმრავალი ქუჩის რიტ-
მმა ერთბაშად ჩაითრია ორივე. დღის
ბოლო იყო, არც ერთს არ ესადილა.
ლადომ არ იცოდა, ღირდა თუ არა, რამე
წამოეწყო. ლია ისეთი ქალი იყო, ერთ-
ხელ გასეირნებით სამოწყალო კოცნასაც
არ გაღმოგიგდებდა. არადა, ძალიან ლა-
მაზი ფეხები ჰქონდა. ლადო შეკვეჩე
რომ შეეხებოდა, ფისოსავით მთელი
სხეულით მისკენ მიუტრავდა.

გამოცდილი იყო ლადო, აბა წვერი
რისთვის მოუშვა და ოცდაცმეტი წე-
ლი რისთვის დაბორიალებდა დედამიწა-
ზე. ქალების თვალთა უჟურნს მრავალი
მიზანი ჰქონდა — გასეირნება, რესტო-
რაში კარგი სადილი, მეტოქის გამო-
ჯვრება, გართობა და ლიზღი... მხო-
ლოდ მიამიტებს ეგონათ, რომ ქალის
ყოველი გაღიმება თანხმობა იყო.

ლია ასეთი ქალი არ იყო, თანაც ვიქ-
ტორი მოსწონდა. ლადოს არ უნდოდა
თვაისი კოლეგის არც ღულში გამოწ-
ჩევა და არც მოტყუება. ვეტორი კა-
გი ბიჭი იყო, ლადოსთან მეგობრობდა,
ერთად ბევრი ეხეტიალათ და ყველა-
ფერში ენდობოდა. მიტომ იყო, ლადო
ყურადღებას რომ არ აქცივდა ლიას,
თორებმ მისი ლამაზი ფეხები აღრეც
ჩშირად დაენახა.

ახლა კი ერთად მიღიან. რესტორანში
ისაღილებს, მავრამ არ დაულევიათ, რა-
ტომდაც ჩქარობდა ლია. მთაწმინდა ახ-
ლა მათვის მხოლოდ ხშირი ბუჩქანარი
და უცხო თვალთაგან მოფარებული ად-
გილი იყო. თითო-თრიოლა წყვილი გულ-
მოდგინედ არიდებდა ერთმანეთს თვალს
და საკუთარ ვენერას ეჩურჩულებოდა.

ლადოს არ უყვარდა ველურივით
პირდაპირ იერიშზე გადასვლა, ქალს
დამცირებულად არ უნდა ეგრძნო თავი,
თორებმ ყველაფერი გაფუჭდებოდა.
არც სიყვარულზე, პოზიაზე და ვარსკ-
ელავებზე შეიძლებოდა საუბრი, რად-
გან ისინი ძალიან ახლოს იცნობდნენ



ეროვნულ და ლია სიყალბეს მაშინვე მხევლებოლა. ისევ ანეკლოტები სჭობდა, ეს უქიფათო იყო, თანც მთელი ლის მუშაობით დაღლილები დაისვენებდნენ.

მაგრამ ლია ხუმრობას არ აჲყა, ლალოს თვალებში შეხედა და უთხრა:

— სამწუხარო ამბავი მონდა, ლალო.

— რა ამბავი? — სკომიდან წამოიწია ლალომ და ქალს ხელი მოკიდა.

ლიამ ხელი გააშვებინა, სიგარეტი მოსთხოვა და განაგრძო.

— ვიქტორი იყად არის?

— რა დაემართა? როდის გახდა ავად? დღეს ხომ სამსახურში იყო? — მიყარა სულმოუთქმელი.

— იყო, მაგრამ აღრე წავიდა. და, საერთოდ, ვერ არის კარგად.

— რა სჭირს იმ გლიხაეს, — გაიღია ლალომ, გაახსენდა ლიას რა უცნაური ხუმრობები უყვარდა.

— მაგას ნუ მკითხავ.

ლალომ შეხედა და გაჩქმდა. ლიას სახე სერიოზული და ნაღვლიანი ჰქონდა. თვალებიც შეწითლებოდა. ლალო შეწუხდა, იღარავერი უთქვაშს, მღუმარელ მიაჩერდა ბუჩქნარს.

— ამას დიდი ხანია ვგრძნობდი, ლალო, — ხმადაბლა თქვა ლიამ. — მას მერე, რაც ექვსი თვე ატომის რეაქტორში მუშაობდა. რა კირად გამოხტა ის კახა ჯაბადარი. სკოლის მეგობარია. ვიქტორს კი ფიზიკა ბაგშვილიდანვე უყვარდა. კახა გაოცებული იყო კიდეც მისი არჩევანით. შენგან ბრწყინვალე ფიზიკისი გამოვიდოდაო... ჰოდა, იმას ეხმარებოდა. ლელ და ღამ სულ იქ იყო...

— დასხივება... — კი არ თქვა, გაიფიქრა ლალომ, მაგრამ ლია მიხვდა და თვით დაუქნია. — ხომ იცი მაგასი ვაუზერთხილებლობა, ყველაფერში დაულევარია. კახასთვის არ დაუჭერებია, რაღაცაზე უკამათიათ... მერე ექსპერიმენტი ჩაუტარებია და ჰქონა წაავო.

— ვა, ბიჭო, — დაიკვენესა ლალომ ლია თოქეტ ამას ელოდა, ცრემლები წასკდა.

— დღესაც იმიტომ წავიდა აღრე, — სავალმყოფში ქვითინებდა ლია. — სავალმყოფში უნდა დაწევეს. რას უშველის! მაგას ასი რენტგენი ჰგონა.

— ახლა შველიან, ლია, — გონს მოეგო ლალო.

— ეკ, — ხელი ჩაიქნია ლიამ და ცრემლები შეიმტრალა. — შვიდას რენტგენს ვერ შველიან.

— რატომ აღრე არ მითხარი?

— მეც მჯეროდა, რომ ასი რენტგენი იყო. მკურნალმა ექიმმა მითხრა. ჩემი დის მეგობარია.

ლალო მძიმედ აღვა. გაიარ-გამოიარა. სიგარეტს ეწეოდა და ფიქტობდა: „ეს როგორ? ვიქტორი, ჩემი ძმაყაცი, ჰევი-ანი არქიტექტორი, ლოთი და შფოთის-თავი და შეიდასი რენტგენი!“ მაშ განწირულია და მან არაფერი იცის? სჯერა, რომ უმჯურნალებენ, ლიას შეირთავს“...

მთაგონდა ლალოს ვიქტორთან გატარებული დღეები და საღმოები. დღისით ოთხსართულიანი სახლების შელეპროექტებს უკირკიტებდნენ, საღამოთი პინგბონგს თამაშობდნენ, თეატრში მიღიდნენ... რესტორანში რამდენჯერ შესულან თითო თუმნით... მერე ბიჭები გამოჩენილან იმათ უშველიათ...

„როგორ, ვიქტორს ჰგონია, რომ ასი წელი ცოცხლებს და შეუძლია არ იჩქაროს, შეფს გაგდებენ და მერე ნალდ, გემრიელ პროექტებზე დაიწყებს მუშაობას...“

— რას დარბიხარ გიჟივით? — კეითხა ლიამ.

— ვიქტორს უნდა ვუთხრათ ყველა-ლერი.

— ვაგიუდი?

— ცოდნა ბიჭი.

— თავს მოკულავს.

— არა, ლია, ვიქტორი მაგარი ბიჭია... ვახ, ეს როგორ! ლოთი და შფოთის-თავი... აი, კომედიაც ეგ არის!

— თქმა მაიც არ შეიძლება.



— ასეთ რამეს ძმაქაცს ვერ დავუმა-
ლავ.

— იქნებ მოსკოვში წაგვეყვანა?

— მაგას კიდევ მოვიფიქრებთ. მოს-
კოვშიც წავიყვან და ლენინგრადშიც.
ყველგან, სადაც საჭირო იქნება. მაგრამ
მან უნდა იცოდეს თავისი ავალყოფო-
ბა. ნახე თუ არ გაიცინოს!

— გაგიუდი, ლადო?

— რომ ასე სულელურად თავდება
უველაფერი.

— ლადო, გადამრევ.

— რომ ასე უცებ შეიქრა წრე.

— უნდა ვუშველოთ, ლადო.

— მე რას ვუშველი. ვიქტორი ყო-
ველთვის ჩემზე მაგარი იყო. ი ნახე,
თუ არ ვიღირიალო.

— ლადო!

— შენ გესმის, ძმაქაცი მიკვდება!

— მესმის და მეც მაგას ვტირი.

— არა, ლია, შენ ამას ვერ გაიგებ.
შენ ლამაზი ქალი ხარ, ცოტას იტირებ
და მერე გათხოვდები. შეიძლება, მეც
შეგირთო. არა, ცოლის შერთვას არ ვა-
პირებ, მაგრამ თუ გაესულელდი, შენ
შეგირთავ. ვიქტორის გოგოს სხვას არ
მივცემ.

— ლადო!...

— ჰო, ვიქტორმა უველაფერი უნდა
გაიგოს.

ლია წმინდა სკოლაში, ლადოს მი-
უახლოვდა და მკლავზე ხელი მოკიდა.
ნამტირალევი თვალები ახლა უფრო ლა-
მაზი ჩანდა. სხეულზე შეუმჩნეველი

ურუანტელი წაკიდებოდა, ქალი წამოდი-
ნიშვნდა. სირცხვილსა და რაღაც გრძ-
მოუთმელი გრძნობის აღმურს აეცახ-
ცახებინა.

— ლადო, — გაუბედავად დაიწყო
მან. — შენ სულ სხვა ბიჭი ხარ...
ვიქტორი სხვაა. თუ გამიგებ, გეტყვი.
ვიქტორი მკოცნიდა ხოლმე, მაგრამ სხვა
რამ... ი შენს ხარბ თვალებში რომ
არის, არ დამინახავს, არ მიგრძნია...
როგორ ვეცოდება ვიქტორი...

— შენ უკვე გამოიტირე.

— რას ამბობ, ლადო?

— მე არ მიყვარს, როცა სიყვარულს
თამაშობდე.

— მე ვთამაშობ? ღმერთო ჩემო!

— შენ ისეთი ქალი ყოფილხარ,
ლია, — ხელა, დამარცვლით უთხრა
ლადომ. — არა, შენ ამას მაინც ვერ გა-
იგებ, — უცებ მოსჭრა და მერე უბრძა-
ნა — გამომყევი.

ჩამუქებული ხეივანი უბრად ჩაიარეს.
ქალაქში რომ ჩავიდნენ, ლადომ ტაქსი
აიყვანა, ლია შინ მიაცილა და მერე ვიქ-
ტორისაკენ გაქანდა.

„უველაფერს გულახდილად ვეტყვი,—
ფიქრობდა ლადო, — ცოტა დრო რჩე-
ბა. ერთხელ ხომ მაინც უნდა მო-
ასწროს გაგიუება...“

ტაქსი სწრაფად მიდიოდა. ლადოს
ვერ გაერკვია, ქუჩები მოერწყათ თუ
ახალი ნაწვიმარი იყო. მთაწმინდაზე
არ უწვიმია. შეიძლება იწვიმა კადეც.



მ ს ა ჯ ი

ლავრენტი მიქაუტაძეს მაინცდამაინც კი არ უნდოდა რესპუბლიკური კატეგორიის მსახის წოდება. აღარ მცალია შეკიბრებებზე საიიარულოდო, არა ჩემი, საქმეო, ვილაცას უნდა აწყენინო, ვიღაცა უნდა მოიმდურო, რატომ, რისი გულისთვის აფიტყვივო ეს აუტეივარი თავიო, მაგრამ მეგობრებმა შეაგულიანეს: შაშისა თუ ვინმეს რაიმე გაეგება, ერთი შეცნ ხარო. შე კაი კაცო, შენი სპორტული წარსული სახელის მოხვევის მეტს რას შეიცავსო. გუშინდელი ბავშვები პრიან დღეს პატენტიანი მსაჯებიო. გქონდეს ეს ტიტულიც, რას გიშავებსო. შენსას ტყუილსაც კი დაიჭერებს შაშის მოთამაშეო. მე შენ გეტყვი, მიუდგომლობა გაკლია და სინდი გაქვს გაშუშყიანებულიო. შეაგულიანეს და დაწერა ლავრენტიმაც განცხადება: მე სპორტის ოსტატს, ყოფილ მეშაშეს, ამჟამად დახელოვნების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს სურვილი მაქვს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჭი ვიყო და გთხოვთ გამომცადოთ.

საშაშო სკოლის მესვეურნი კმაყოფილებით შეხვდნენ ლავრენტის განცხადებას. ერთი წესიერი მსაჭი მოგვემატებაო. ზოგმა გაიკვირვა: კი მარა, აქამდე არ იყო ამ კატეგორიის მსაჭი ლავრენტიო? როგორ მოხდა, როგორ მოგვივიდა ესო. შაშის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ, ფოტომალობას ნუ დავარ-ღვევთო და გამოცდის დღე დაუნიშნა.

ხუთი კაცი იყო სექციის ბიუროში — თავმჯდომარე — მიხა სოფრომაძე და წევრები — ვეტერანი მეშაშები: სანდრო კილაძე, მირან თარგამაძე, ნოშრევან ხარბედია და ნესტორ ქათამაძე.

ლავრენტი დანიშნულ საათზე გამოცხადდა, მობრძანდი, ლავრენტი, დაბრძანდიო, უთხრა მიხამ. ხომ არ ღელავო, გაეხუმრა სანდრო კილაძე. მე შენ გეტყვი, შაშის თამაშის წესები არ ეცოდინება, რა გამოცდა უნდა ლავრენტი მიქაუტაძესო, ჩაილაპარაკა ამირან თარგამაძემ. კი მაგრამ აქამდე სად იყავი, შე კაცო. გაულიმა ნოშრევან ხარბედიამ, დავიწყოთ და მოვრჩეთო მალე, ნუ ვადეთთ კაცსო, საათზე დაიხედა ნესტორ ქათამაძემ.

ფოტომალობა იყო და ლავრენტის შეკითხვები ბლომად მისცეს. ყოფილი მეშაშე დაწად, გარკვევით, უშეცდომოდ პასუხობდა. ყველანი თავს უქნევდნენ და უსიტყვილ ეთანხმებოდნენ. ლავრენტი შაშის თამაშის თეორია და რაჭტიყასწვებზე ნაკლებ როდი იცოდა და ამას უკელანი გრძნობდნენ. შეკამათებას ადგილი არ ჰქონია. გამოცდა ერთ საათს გაგრძელდა. თავმჯდომარემ აღტაცება ვერ დამალა; ასეთი მომზადებული საქაფშირო მსაჭიც კი იშვიათად მიხახავს. მერე, შეკითხვები რომ მიოიწურა, მიხამ ლავრენტის სოხოვა, თუ ღმერთი გწამს, ცოტა ხნით გარეთ მოგვიცადე, კენჭს გიყრით და თავისუფალი ხარო.

მაშინ რესპუბლიკური კატეგორიის

მსაჯის წოდების მინიჭება ფარული კენ-
ჭისყრით ხდებოდა.

ლავრენტი საშაშო სკოლის დერეფა-
ნში დაბიჯებდა და სხვა დროის გმო-
ჩენილი მეშაშების სურათებს ათვალი-
ერებდა. კიბესთან განუყრელი სამი მე-
გობარი უცდიდა. ახალოსულები იყვ-
ნენ, ასდგანაც გამოცდაზე შესვლისას
ლავრენტის ისინი ორ შეუნიშვანს. „რა
ქენი, ლავრენტი, ხომ არ ჩაგრესო?“ —
დაუძახა გერონტი თორთლაძემ. ლა-
ვრენტის გაეცინა, რას მოდიოდით აქანა,
სირცხვილია, ბოლოსდაბოლოს, რა ხდე-
ბა ასეთი. მერე მაინც მოსკოვმა უნდა
დამამტკიცოს მსაჯად. აი, მოსკოვიდან
რომ დამტკიცება ჩამომივა, მაშინ აღვ-
ნიშნავო. მეგობრებს გაგონებაც არ
სურდათ. ძლიერ პატარა მიზეზი იპოვეს
პურმარილისათვის და ასეთ შემთხვევას
ხელიდან როგორ გაუშვებდნენ. შენ რა-
ვინც, გნდა, მაგრამ გოგისვანიქებში
ზუგით მიუღიათ დღეს და ამის საქმე-
ლიდ მოვედითო.

ლავრენტი მიხვდა, რომ ამ საქმეს
„დაუსველებლად“ ვერ ჩატრებდა და
ფიქრობდა, მალე მანც მოვრჩებოდეთ,
ხვალ სამუშაო დღეათ.

კენჭისყრა გაჟიანურდა. როგორ უხმეს,
ლავრენტის რაღაც არ მოეწონა თავ-
დახრით მდგარი შაშის სექციის ბიუროს
წერები. ფერწასული მიხა სოფრომაძე
წამოდგა და გამშალი, მოგუდული
ხმით გამოაცხადა:

„ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმო-
ჩნდა ხუთი ბიულეტენი. რესპუბლიკუ-
რი კატეგორიის მსაჯის წოდების მაძე-
ბელს ლავრენტი მიქაუტაძეს ხმა მისცა
ხუთმა კაცმა, მოხხრე — ერთი, წინა-
აღმდეგი თოთი. შეშის სექციის ბიურო
ადგვენს: ლავრენტი მიქაუტაძეს რეს-
პუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდე-
ბაზე უარი ეთქვას.“

ლავრენტიმ ყურს არ დაუჭერა. „რა-
ტომ მოხდა ასე? აკი ყველა თანახმა
იყო. თითქოს ყველას მოეწონა ჩემი პა-
სუხები. ერთიც არ შემკამათებია. ეს რა
მიქნეს. როგორ მომტრეს თავი. რატომ?
რამი გულისთვის? ნუთუ ამის ღირსი

ვიყავი მე? ცრემლები ყელში მოებჭი-
ნა. თავდახრილ ხმისნებს გადახედა და წელ-
ლობელი ვარო, ჩაილაპარაკა და წელ-
ში მოხრილმა, გათავებულმა, გულჩამ-
წყდარმა კარებისაკენ გაბიგა.

მეგობრები ყველაფერს მიხვდნენ და
უსიტყვოდ დაუთმეს გზა. ახლა ლაპა-
რაკი და იმედის მიცემა სრულიად ზედ-
მეტი იყო. ლავრენტი გაშავეს. ძმაკა-
ცები ცოტა დამნაშავედ ივლიდნენ
თავს, ჩევნ შევაგულიანეთ და ჩევნ დავ-
ლუბეთ კაციო. ლავრენტის, ამ ანგლო-
ზივით კაცსაც, თუ ამდენი მტერი
ჰყავდა, ვის ეგონაო.

სამხრობა გადასული იყო. ციოდა. ზა-
მორამდე ჯერ მოელი ნოემბერი იღო,
მაგრამ ამ ქალაქის განუყრელი, გულის-
გამაჭვრილებელი ქარი ძვალ-რბილში
ატანდა.

მიხა სოფრომაძის ჭიშკართან სასწრა-
ფო დახმარების მანქანა იღდა. ლავრენ-
ტიმ გაიფიქრა, გაებრუნდება და სხვა
დროს ვნახვა, ახლა, როგორც ჩანს, ჩე-
მი თავი არ აქვსო, მაგრამ ყოფილმა
მეშაშემ არ იცოდა ხვალამდე გაუძლებ-
და თუ არა შეურაცხოფისაგან გასივე-
ბული გული. ძალია ყეფაგარეული
ღრიალით აწყდებოდა ჭიშკარს. ზარის
დარეკვა ან დაძახება არც კი დასჭირ-
ვებია.

— გადი, ძალლო, იქით! — დაიყვირა
ვიღაცმ ეზოდან.

ძალლი თავს ახლიდა ღობეს და რკი-
ნის გისსებში გამოვარდნას ცდილობ-
და.

— გადი, ძალლო, იქით-თქვა! — ძალლს
ვიღაცმ შიგნიდან ქვა ესროლა. ქვა
ჭიშკარს მოხვდა და მტერ-მოყარე აუ-
ტული ქოფაკიც წერტუნით მოშორდა
შესავლელს.

ჭიშკარი მიხამ გაუღლო.

ლავრენტი პლაშჩის ჯიბეში ხელჩაწ-
ყობილი იღვა და მასპინძელს მღუმა-
რედ შეცყურებდა.

— მობრძანდი, ჩემო ლავრენტი.

— შემოსასვლელად არ მცალია. სა-
ქმე მაქვს პატარა.



— ამოდი სახლში, შე კაცო, ასე ქუჩაში ხვარ ვილაპარაკებთ. ძაღლის ნუ გვშინა. ჩემი კი ორა, მეზობლისაა ეს მკვდარძალლი. მის ეზოში ჩამსვლელ-გამომსვლელს ხმას არ სცემს. ასე, ა, ჩემს სტუმარზეა გამეცადინებული. ვინ კითხავს, ვინ დაავალა, დამიცავი რამეფრადო. დღეი დაბმულია, დამე იუშვებენ თუ არა, ჩემი ეზოსკენ მორბის.

ამ ლაპარაკით კიბე ათავეს და შეშაბანდში შევიდნენ. ლავრენტი პლაშჩიგაუხდელად დაჯდა მაგიდასთან და ხელები ლოყებს შემოწყო.

— ხომ მშვიდობაა? — იყითხა და იმ ოთახისაკენ გაიხედა, საიდანაც ჭამოსული ჩრდილები შუშაბანდის ფარდის ეცემოდნენ და დევებივით ირხეოდნენ.

— ცოლი მყავს ავად, ჩემო ლავრენტი. მძიმე ავადმყოფია. გამშრალი ვარ კაცი. ორი თვეა, ჩემს სახლს ექიმი და სასწრავო არ მოშორებია. — მერე ლავრენტისაკენ დაიხარა და ჩურჩულით უთხრა: — კიბო აქვს კუჭის, დალუპული ვარ მთლად.

ლავრენტის აქარად ეწყინა.

— იცის თვითონ?

— არ ვეუბნები. არ მინდა სიკვდილის წინ გავამწარო. დათვლილი აქვს დღეები საწყალს. რავარი ქალი მერე, რავარი ადამიანი.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

ლავრენტი ითქმირა, რაც მალე ვიტუვი და წავალ, თვითონაც ურჩევნიაო და დაიწყო:

— რა მოხდა დღეს, მიხა, თუ კაცი ხარ, გამაგებინე ერთი.

— მეც მაგას არ ვეითხულობ? მკვდარი მოვედი შინ. მეხის გავარდნასავით იყო ჩემთვის ეგ ამბავი.

— არა ვარ ლირსი? მითხარი, ლოთიანად, შემეშალა რამე? გლახად ვპასუხობდი?

— კი მეკითხები, ჩემო ლავრენტი ამას? ჩენენ დღეს ხომ არ გაგვიცენია ერთმანეთი. რას ჰქვია, არ ვეკუონოდა. ეპვი გეპარება რამეში? შაშის საქმე ვის ესმის შენნაირად. შენ გამოგაჩინე პირველად, პირველი ჩემპიონი შენ არ

იყავი? ვინ ვიცოდით მაშინ შაშის თავის მაში წესიერად.

— აბა რატომ მომჰერით თავი, რა მოხდა?

— ამიტომ არ მინდა იმ სექციის ბიუროს სუფროსბა. დამანებონ თავი. ხომ ხედავ, რა საშარო საქმეა, რამდენჯერ ვთქვი, წევრი ვიწები-თქვა. არ დაადგათ საშველი. შენ ჩემშიც ეჭვი ხომ არ გეპარება? გამეიხედე აქეთ? ბოვშვებს გაფიცებ, მითხარი.

— კაცო, მე გლახას ვერავიზე ვერ ვიფურებებ, მარა შენ იჯექი იქ და მითხარი ერთი, რა მოხდა?

— მე, ძმაო, მაგერაა ოთხივე, ღიად მეგეცი ხმა. მე თავმჯდომარე ვარ-თქვა და დასამალი არაფერი მაქეს-თქვა, ეკუთვნის ამ კაცს-თქვა და პირველმა ჩავაგდე კუნტი. ეს ჩემი ერთი ხმა ქეა შიგ.

— იმ ოთხს გოუშავებივარ.

— რა ვიცი, ახლა ასე გამოლის. სანდორ კილაძე შავს რავა ჩაგიგდებდა, მაგი ისეთი კაცია, ყოველთვის ყველაფერზე თანახმა. ნოშრევან ხარბედია ძმაკაცია შენი, ერთად დაიწყეთ და ერთად მოღიხარო აგერ ამდენი წელიწადია. ნესტორ ქათმაძე, ქვე იცი, ერთი შეკითხვაც არ მოუცია და წამდაუშუმ იძახდა, ნუ ვაწვალებთ ამ კაცს, ცოდეას ვერ დავიდებ. გადაჭრით ვერავისზე ვატყვია. ამირან თარგმაძესთან რავა ხარ?

— რა ვიცი, კარგად.

— ვითომ, ჩემი მოკლე ჰკუით, ერთი მაგაზე მაქვს პატარა ეჭვი!

— თქვა რამე?

— კი არაფერი გაუბედავს, მარა, მაგან იცის, საერთოდ, ჩემი კბენა. ცოტა კირკიმალა კაცია. სექციის თავმჯდომარება უნდა და რასაც ვიტყვი, საწინაომდევებს აკეთებს. ვითომ მე რომ შემატყო შენდამი ასეთი კეთილგანწყობა, ჩემს გინაზე ხომ არ ჩაგიგდო შავი-თქვა, ასე ვფიქრობ ახლა, მე, ჩემი მოკლე გაგებით.

— მე რა შეაში ვარ?

— კაცისას შენ გაიგებ ახლა რამეს? — მხრები აიჩენა მიხა სოფრომაძემ.

ლავრენტიმ ბოლიში მოიხადა უდრო დროს სტუმრობისათვის და კიბეზე დაჟვა. მასპინძლის ბოლო სიტყვები: გულთან ნუ მიიტან ამ ამბავსო, მას არც კი გაუგონია. ამირან თარგამაძე იქვე, მეორე მოსახვეში, კონსტიტუციის ქუჩის დასაწყისთან ცხოვრობდა

ამირანს ერთადერთი ქალიშვილი გათხოვილი ჰყავდა. ცოლს ადრე იყო გაყრილი და მარტო ცხოვრობდა. ზარს ვერ მიაგნო, იყაუნა კარებზე, „მასპინძელო“, ბევრი იძახა ლავრენტიმ, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. ბოლოს ილაზგაწყვეტილმა მეზობელმა გააღო ფაჩარა: „აბრძანდით ზევით, ბატონო, თვარა იქედან ვერ გააგონებთ, ტელევიზორს უყურებს ალბათ შუშაბანდში“. ძალი ხომ არა ჰყავსო, — იყითხა ლავრენტიმ და უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, კიბეს აუყვა.

— ხალხი არიან მაგენი? ხალხი არიან, ბიჭო, მაგენი? მითხარი, ერთი შენ. — კარებშივე შეაგება ამირან თარგამაძემ.

— მე მაგის გასაგებად მოვედი, — თვალებში შეხედა ლავრენტიმ და ძალიან უნდოდა ამოყენობა, იყო თუ არა მისთვის შავის ჩამდები ამირანი.

— რა პირით შეეგებდავენ ხვალ-ზეგ, იმისი არ იყოს, არ უნდათ ამ დამპლებს ცხოვრება?

— მე გული იმაზე მწყდება, ჩემო ამირან, რომ ქურდულად გამომჭრეს ყელი. ადექი, შე კაცო, მითხარი პირში, არ გვაუთვინის ეს წოდება შენ-თქვა. პირში თქმას წინ რა უდგას. თუ მწყენოდა, შეილებს გეფიცები. ვიფირებდი, ამ კაცს, ალბათ, ასე მიჩნია-თქვა, მარა მოპარვით, ჩუმათ, ზურგსუკან ხანჭლის ჩატემა სიგლახე არაა?

— სიგლახეზე მეტად, რაც მაგათ გააქეთეს.

— მითხარი ერთი, თუ ძმა ხარ, რა შეატყე, რა აზრი გამოიტანე მთელი ამ საქმიდონ.

— ცხოველზე უარესია ქვეშეგვეშა კაცი. ცხოველი ქვეშეგვეშა პირდაპირ და-

გეტაჟება და გიტენს. ვინმესთვის რამე სიავე რომ შემეტყო, არ ავტეხავდი კენჭისყრას? არავის რილს, არ ავრევდი კენჭისყრას? პირიქით, ყველას გაეხარდა და ესიამოვნა. ასე მეგონა მე. მიხა სოფრომაძეს რა ქვეს შენთან გასაყოფი. თავმჯდომარეა და იგიც არ უნდა. რაში ეცილები შენ. მიხას უნდა მოეცა ხმა. მეტი ვინ ვიყავით... ნოშევევანი, ქე იცი, ჰიჭყინი იცის პატარა, თვარა გული კარგი აქვს, სიკლახეს არ ჩაიდენს. ნესტორ ქათამაძემ მე მითხრა, ფორმალობას რა ვუთხრა თვარა, რა ჩევნი გმიოსაცდელია ახლა ლავრენტიო. სანდრო კილაძესთან ხომ კარგად ხარ?

— კაი, გამარჯობის მეტი არაფერი მახსოვს.

— რაზე გვუბნები, იცი? რაღაცას აქტიურობდა, თუ შეატყვე, ყველაზე მეტს გეპითხებოდა. ცულდავ, ეგება, ღვთის წინაშე, მაგრამ მაგი მთლად კაი კაცი არ უნდა იყოს. შეჩანწინ ჩემი გოგოს გაუვანა მინდოდა ინსტიტუტში, სპორტსმენებს, ქე იცი, ცალკე ცლიან. მე ვოქვი, ჩავწერ მე ვოქვი, სპორტსმენების სიაში-თქვა. მეტი რაში ვარგივათ, რა ხეირი მანასა ამ სპორტმა მეტი. მდივანი იყო ჩევნი სექციის სანდრო. მივედი, დამირტყი ბეჭედი-თქვა. ვაგივონია? თავი მოიკლა. რას ქვევია, ვის ქვევია! შენ გოგოს ხელი არ გოუქნევია მიდღოები და ამ ბავშვებს გადავისტუნო თავზეო? ა, ასე მითხრა. რა უფულებოდა, თუ ძმა ხარ, მითხარი. ისე ისწავლა მაგისმა ნაგრამ-ნაშერმა, რავარც ჩემმა გოგომ ისწავლა. შარშან ქე გამითხოვდა და დამირჩი ასე უსწავლელი. რა ვიცი, რა დღე მომელის. ეგება, ერთ მშვინიერ დღეს, ქე კრას იმ ბიჭმა პანლური და ქე მომბარუნს უან. ქალს რაღაცა პროფესია, რაღაცა საქმე არ უნდა ქონდეს? ამტომ მეეჭვება სანდროს კაცობა. მე მგონია, ერთი შავი მაგისი უნდა იყოს.

— რა ვიცი, დასწყევლოს ეშმაქმა.

— მთლად მე კი ნუ დამიჭერებ, ეგება ცცლები, მაგრამ ფაქტი ფაქტია. მე, ჩემო



ლავრენტი, ყველას დავანახე: ა, ბატონი, მე ვუთხარი, ჩემი ბიულეტენი, მე ვუთხარი. მერე რომ არავის შეეპაროს ეჭვი-ოქვა. დავანახე ყველას და მოგეცი ხმა. მე ერთადერთი სანდროს ხმა მეეჭვებოდა, თვარა ოთხივე თუ შეს ჩაყრიდა რავა მეგონა.

ლავრენტიმ მაღლობა გადაუხადა მას-პინძელს და ქუდი დაიხურა.

— სად მიხვალ? — დაედევნა ამირანი. — ასე რავა გაგიშვებ. პარველად ხარ ჩემ ოჯახში. კაი ლენონ მაქვს, იმერთ გოგოს გაფიცები; ჩემი დაწურულია, კუმპალ-კუმპალ გარჩიე ყურძენი. თითო ჭიქა ფეხზე მაინც დაელიოთ?

მაგრამ ლავრენტი უკვე ქუჩაში იყო და არხის გაყილებით წყალსადენის ქუ-ჩისაკენ მიაბიჯებდა.

სანდრო კილაძე პურის მაღაზისთან შეხვდა. მელავები გაშალა და დიდი ხნის უნახანი მეგობარივით გადაეხვია.

— ლავრენტის გაუმარჯოს, რავა ჩა-მოგტირის ცხვირ-პირი, მეტი საჭავრო არ მოგცეს გამჩენმა. მაგრნმა იყითხონ, ხვალ მთელი ქალაქი რომ გაიგებს და თავი რომ არ გამოეყოფა, თვარა შენ რა გაქვს სადარდელი. ყველამ ვიცით, რომ ეს წოდება შენთვის ისე, ყოველ-გარი კენცისყრის გარეშეც უნდა მიენ-ჭებინათ. სად იყავი აქეთ?

— შენთან მოვდიოდი.

— აგაშენა ლერერთმა. წავიდეთ აბა ცხელი პური ქე მიმაქვს და მეც უგახშ-მო ვარ.

— რა მიქენით, კაცო, დღეს. გაფიცებ გულით საყვარელს, გახსოვთ ჩემგან რამე ცუდი რომელიმეს?

— ხომ გითხარი, უვახშომ ვარ-ოქვა, რავარ ხასიათშე მოვიდოდი ახლა მე იქედან, რა ვუყო, რა პირით შევხვდე ხვალ ლავრენტის-ოქვა. მე მაინც არ ვე-რიო ამ მაიმუნების ბიუროში-ოქვა. იმ კაცს ჩემზე არ ეგონს-მეოქი, ესეც ქე გრიფიქრე. მარა, გეტუყვიან თვითონ, ვიციდი, რა ხალხთანაც მქონდა საქმე და ლიად მოგეცი ხმა. დავდეტი ყუთითან და ოთხივეს ვაჩვენე. ამნაირი კაცი ვარ მე, ჩემო ლავრენტი.

— მაინც ეჭვი არავისზე გაქვს? საფუძველი ჩავს ჩაებლაუჭა სტუმარი.

— გაიგებ შენ თვითონ. ხომ იცი, არაუერი დაიმალება. თუმცა რა გაგება უნდა. ჩემი ერთი ხმა ნალდი იყო და იმგენს, ოთხივეს, შავი მოუცია.

— იქნებ ისე ვერ მოვიქეცი, რავარც საჭირო იყო, ან ეგება ტაქტი შემეშალა.

— უმაღლესად იყო ყველაუერი კენ-ჭისყრამდე. ასე რომ ოთხ შავს არავინ არ ელოდა. სანამ შენ დაგიძახებდნენ, მე მანამ მინდოდა წასვლა. აფერუმ თქვენს ვაჟააცობს, რა კაი საქმე ქენით დღეს, თქვე ყასბებო-მეთქი. დავლანძლე ოთხი-ვე. ხმა არ ამოულია არც ერთს. თუ კა სულები იყვნენ, ეჩვენებინათ ჩემსავით. ორი შავი რომ ყოფილიყო, აგრეოდა ქვალი, ყველა იტყოდა, ჩემი კი არა იმისიათ. ახლა ოთხივეს სახე კარგად მოჩანს, შენც გეცოდინება მომავლისა-თვის.

— ვის ეტყობოდა, რომ შავის მომცე-მი იყო თავიდან?

— მე მგონი, ერთს ნოშრევან ხარბე-დია მოგცემდა. შენ გეძმაკაცება, ვიცი, მაგი მე. მაგრამ ერთ ნაბიჯზე არაა სან-დო. არაა ჩემი კაცი, იცოდე. ხელის-გულზე ერბო-კევერცხი რომ შეუწვა, არ დაგინდობს მიანც. როცა ჭირდები, ქე შემოგიძრება მელასავით, თუ არა-ცერს გამოელის შენგან, მორჩა, არ არ-სებობ მისთვის.

— ნოშრევანი კაცო?

— ჰო, ნოშრევანი, ნოშრევანი. თან გადაყოლილი ვიყავი მე მაგაზე, პირში სულ გუბერავდით ერთმანეთს. ჩემს ოჯახში ჭიქა არ აიწეოდა უმაგისოდ, მა-რა პატარა ხელი რომ შემეშალა, ქე გა-სოვს შენ, იმ წუთას ზურგი შემაქცია. ეგ კი არა, გამომძიებელს ჩვენება მისცა, რაცხას რომ თალღითობდა ვატყობლიო. რომ ჩამთაერდა ის საქმე, დავუძახე ჩე-მთან სახლში, გადავახიე თავზე მისი ჩვე-ნება და ვუთხარი: დღეიდან შენ შენთ-

ვის და მე ჩემთვის-თქვა. ქე ვარ ახლა
წყნარად.

— წვალ ახლა მე, — თქვა ლავრენ-
ტიმ, როცა სანდროს ჭიშკარს გაუსწო-
რდნენ.

— შენ არ მომიყვდე, არ გაგიშვა. ასე
ვართ ჩვენ ერთმანეთთან? კაი მეავე,
კაი ყველი და პური და ვიშუაშეუროთ
ცოტა ხანს.

— არ მცალია, გმაღლობთ. — დააგ-
ლო ლავრენტიმ და თითქმის სირბილით
გაშორდა მასპინძელს.

— ლავრენტი, თუ კაცი ხარ, ნოშრე-
ვანზე რომ გითხარი, ჩემ ნათქეამად ნუ
იტყვი! — დააწია სანდრო კილაძემ და
ჭიშკარს ფეხი ჰქო.

ნოშრევან ხარბედია სახლში შეისწ-
რო. იადონის ბუდეს ასუფთავებდა.

— შენ ხარ? — ჰქითხა და მაგიდის
ნათურა გაანათა.

— მე ვარ.

— სად გაქრი ღლეს, გეძებე, მერე,
ერთად მინდოდა წამოვსულიყავით.

— რა კაი ხასიათზე მე გამომიშვით.

— სათქმელი მქონდა რაღაცა.

— რაი?

— უნდა დაწერო, საჩივარი, უნდა
გვიჩივლო. პროცედურაა დარღვეული,
ოქმს არ წერდა არავინ.

— ჩივილით მიღებული წოდება ვნა-
ხე დამწვარი.

— პრინციპის ამბავია, უეჭველად მო-
იგებ, მაგრეს რატომ უნდა გავატანინოთ
თავისი.

— ჩიტი სადა გყას?

— მაგრაა ქვაბქვეშ.

— არ დაიხრიოს, ჰაერი შესდის?

— რა დაიხრიოს ცოტი ხანს. უნდა
გავყიდო ახლა, სად მაქვს მე ამის თავი.
ჩიმებს ამის მოვლა არ უყვართ. ხანდა-
ხან თვე ისე გავა, წყალს არ გამოუც-
ლიან, გალობის მოსმენა სიამოვნებთ
მარტო. აქოთებული იადონი და არავის
მოსვლია აზრად გაეშინდა გალია. შე
მომჩერებია ყველა. გაღები და გავყი-
დო.

— მაგი არაფერი, — ამოიხვენეშა ლა-

ვრენტიმ. — რა მოხდა დღეს,
ჭკუაზე ოარა ვარ.

— მაგაზე მინდოდა მელაპარავა და
გამექეცი. სპორტკომიტეტიდან დაურე-
კიათ მერე, რა გიქნიათ ესო, ხოჯავს
უთქვემს, თქვენ ხართ ახლა პრინციპუ-
ლი და ობიექტური ბიუროვო? გასაყრე-
ლი ხართ სუყველა. ეგებ შე დაგვშა-
ლონ ამ ამბის გულისაოვნის.

— მე რას მიშველის. მე ქე გამამწა-
რეთ და.

— რას ვიზამდით?

— წინასწარ გვაფრთხილებდი ყვე-
ლას. ავღგებოდი, დაგახასიათებდი, ხმის
დამოვლებად მე დავდგებოდი, იმგრეს
გარეთ გმოვუშვებდი და თუ გამიჭირ-
დებოდა, სულ გამოგიცვლიდი ბიულე-
ტენებს.

— კაი ერთი. მერე ვინ მომეტყუე-
ბინა მაგნაირი ილეთით, ჩემი თავი?

— რომ არ გეკუთვნოდეს, სხვა ამბა-
ვია. შენ ხომ იცი ჩემი ხასიათი. ძმა ხარ
ჩემი, მარა მაინც გეტყოდი, არაა ეს შენი
საქმე, არ გეკუთვნის ჯერ და მოიცადე
ჟატარა-თქვა, მარა ასე რომ არ იყო ხა-
ქმე? ნესტორია ქათამაძე — ღვთის გლა-
ხა უნდა იყოს რესპუბლიკური კატეგო-
რიის მსაჭი და შენ არ უნდა იყო?

— რაო, ნესტორიამ?

— ერთი შავი რომ მაგისია, ეჭვი არ
შეგეპაროს. ჩემს გვერდით იჯდა. ბიუ-
ლეტენები რომ დაგვირიგეს, მე ადგა-
ლიდან არ გაენდრეულვარ, „თანახმა
ვარ“ დავტოვე, „არ ვარ თანახმა“ წა-
ვშალე და ჩავაგდე. ნესტორმა მოკიდა
ხელი ბიულეტენს და ვითომ ჩემს გასა-
გონად ჩაილაპარავა — „თუ ფარული
კენჭისურაა, ფარული იყოსო“, მივიდა
ფანჯარასთან, კაი ხანს იდგა და სულ
ბოლოს ჩააგდო ოთხად გაკეცილი ბი-
ულეტენი. იმ წუთში მივხვდი, შავი ჩა-
ვლო-თქვა, მარა ერთი შავის არ მეში-
ნოდა, სხვებისაგან თეთრს მოველოდი.

— ხომ ხედავ, შევცდით.

— ნესტორი რაცხაა ყველამ იცის,
მარა იმ გლახებს მაინც რა ბზიქმა უკ-
ბინათ. მიხა სოფრომაძემ, სანდრო კი-

ლაძემ და ამირან თარგამაძემ, მაინც
ამირანმა რაფერ მოგცა შავი?

ნოშერევანმა გალია გიმოფერთხა, სუ-
ლი შეუბერა და სამზარეულოში მტკრის
კორინტელი დააყენა. სველი ჩერით
გმოწმინდა და რაი შეატყო, რომ
იადონის „სასახლეს“ სუნი მაინც ას-
დიოდა, ონჯანს შეუდგა.

— ერთს გეტყვი ახლა მე. პატარა
ხანი რომ გაივლის, ისევ შემოიტანე
განცხადება. ჩივილი არ ღირს, სწორი
ხარ, უფრო გადაგემტერებიან. დაწერე
განცხადება და მერე მე ვიცი, როგორ
ვმოქმედებ, რავა იტყვი შენ?

ხმა რომ არავინ გასცა, ნოშერევანმა
ნათურა ასწია და ოთახი დაათვალიერა.
ლავრენტი წასულიყო.

ნესტორ ქათამაძე სოხუმის ქუჩაზე
ორთოთახიან კომუნალურ ბინაში ცხოვ-
რობდა.

კარი წინსაფრიიანმა ჭალარა ქალმა გა-
უღო.

— ნესტორი სახლშია, ქალბატონო?

— კი ბატონო, მობრძანდით.

— თქვენ?

— სიდედრი ვარ. შემობრძანდით.

ლავრენტი შევიდა. სიდედრმა სკამი
დაუდგა და ბოლიშის მოხდით უხსრა:
— ტანს იბანს, თუ საჩქაროა, ვიტყვი
და გამოვიყვან.

— დიდი ხანია შევიდა?

— ახლა შევიდა, მარა რა მნიშვნელო-
ბა აქვს.

— არა, იყოს, დავიცდი,

— მოიცა ვკითხავ, — სიდედრი აბა-
ზანის კარს მიადგა. — ნესტორ, გე-
მის? სტუმარია.

— რომელი?

— ვინ ბრძანდებით, რა ვუთხსრა? —
გაუღიმა სიდედრმა.

— ლავრენტია-თქვა, მიქაუტაძე.

— ლავრენტი ვარო, მიქაუტაძე! —
ჩასძახა კარს სიდედრმა.

— შემოვიდეს. — მოისმა აბაზანი-
დან.

— თუ არ გეწყინებათ, შებრძან-
დით. — სიდედრი კარებს მოშორდა.

ლავრენტიმ პლაშჩი გაიხადა, სკამზე
გადაჭიდა და აბაზანის კარს მიაწვა?

— ლავრენტის ვახლავარ! — აბაზა-
ნიდან ნესტორის მელოტი თავი მოჩან-
და.

— ბოლიშს ვიხდი, ჩემო ლავრენტი.

— რავა ვეკადრებათ, პირიქით.

— გაწყვენინეთ დღეს, მარა რას იზამ,
ხდება.

— მაგაზე უარესიც ხდება, ჩემო ნეს-
ტორ, მარა მე ვის რა დაუშავე, რატომ
მატკინეთ ასე გული?

— კაცისას რას ვაიგებ, ლავრენტი.
ზოგიერთი მარტო რომ რჩება ყუთთან,
როგორც ჩანს, ყველაფერი სიავე მოს-
დის თავში. ამნაირ წოდებას ღია კენჭი-
სყრით უნდა ანიჭებდნენ. რაა დასამა-
ლავი, ვაჟკაცი ადგება და იტყვის თავის
საოქმელს.

— მაინც ვინ მომცა შავები, რავა
ატყობ?

— მე მაგას ნუ მკითხავ, ჩემო ლავრე-
ნტი. ჩენ იქ ხუთი კაცი ვიყავით, ხუთი-
ვე თანაბრად უნდა გვეინაწილოთ ის
ერთი თეთრი და ის ოთხი შავი. შენთ-
ვის თავის მოწონება ახლა თვალთმაქ-
ცობას ნიშნავს.

— ვინმემ გაჩვენათ ყველას ბიუ-
ლეტენი?

— ერც მაგას გეტყვი.

— შენ თვითონ შავი მომეცი?

— ლავრენტი, ნუ მაყენებ მძიმე
მდგომარეობაში, თუ ძმა ხარ. რავარც
შენ მიცნობ, რავარც შენ გოლიორვარ,
ისე იფიქრე. ფარული კენჭისყრაა ეს
ოხერი და იმიტომა ფარული, რომ რა-
ღაცა საიდუმლოდ უნდა დარჩეს. მე
მაინც ვერ დაგიმტკიცებ, რომ ხმა მოგე-
ცი და არც ვეცდები მაგ საქმეს. რა
მნიშვნელობა აქვს, როგორც ხედავ, მე
რომ თეთრი მომეცა, მაინც ვერ გაშვე-
ლიდა და მე რომ შავი მომეცა, ვერც
ის შეცვლიდა რამეს. მე თავს არავის
ვაყვარებ. კველა მისმა სინდისმა გაასა-
მართლოს.

— გული რომ გამიხეთქეს? რომ და-
მაცირეს, რწმენა რომ დამიკარგეს?

— რისი რწმენა?

— თქვენი სეკციის ბიუროსი.

— მაგი არაფერი. ჩვენ დღეს ვართ
იქ და ხელ აღარ ვიქნებით. თქვენ აგ-
ვირჩიეთ და თქვენვე უნდა გადავირ-
ჩოთ. მთავარია, იმ საქმის რწმენა არ
დაკარგო, ჩემო ლავრენტი, რასაც ცხო-
ვრება შევწირეთ. შაში უბრალო თამშემ
არაა. ჩვენს ქალაქში პირველი ჩემპიონი
შენ იყავი, თუ გახსოვს. მაშინ ასუჭ-
რედიანი ერთი დაფა გვერდა მარტო
და შევიძრი მთელი თვეს გაგრძელდა.
რას ჰქვია, გული გამიტყდათ. ზოგს, შე
კაი კაცო, მარჩენალი შეილი უკვდება
და ქე დადის ფეხზე. რესპუბლიკური
კატეგორიის მსაჯობა არ მომცესონ
და გულზე ვარ გამსკდარიო, რომ გაამხი-
ლო სადმე, სიცილით მოკვდებიან. შენ
წადი, შევიდად დაიძინე. დღეს არ არის,
ხვალ იქნება.

ბაგრატის ტაძრის ციც ლოდზე იჯდა
და ქალაქს დაპყურებდა.

ქარი ამ სიძალუეზე უფრო გაავეგუ-
ლი ჩანდა. დათარეშობდა იგი ბაგრატი-
ონთა გუმბათიამოქცეულ სავანეში. სი-
სინით მიძირებოდა ხასმოკიდებულ სა-
რკმლებში და უორს, სადღაც რიონის
ჰალებში უჩინარდებოდა.

ლამპიონები ერთი მეორის მიყოლენ
ბირ ჩერებოდნენ. ქალაქი იძინებდა და მოვალეობა

აღარც კი ახსოვს, როგორ ამოვიდა
აქ. უმცური სიცივე და მტერიანი ქარი
კბილებში ატანდა, მაგრამ ახლა სახლში
შესვლა ორაფრით არ შეეძლო.

— რა იყო მაინც დღევანდელი დღე?
რა დაგვემართა? — ფიქრობდა ლავრე-
ნტი და უნდოდა სიზმარი ყოფილიყო
ყოველივე, რაც გადახდა. უნდოდა და-
ევიწყებინა შაშის სექციის ბიუროს შე-
მომსხდარი ხუთი სერიოზული მსაჯუ-
ლი, რომელთაგან კაცი მხოლოდ ერთს
ეთქმოდა.

„თუ ასე იყო... ასე თუ იყო, რად
მინდოდა მაგათი მონიშებული წოდება,
რა შავევად მინდოდა. კიდევ კარგი, რომ
ასე მოხდა. კიდევ კარგი, რომ ახლა
ცველაუხელელს უნდა მევლო მთე-
ლი ცხოვრება.“

ქვევით, უქიმერიონს აკრულ ქუჩაზე
მთვრალი მოქალაქე მიბრძაცებდა. გა-
მოყოლილ სიმღერას არეულად ღილი-
ნებდა. ხანდახან გაქერდებოდა, ღამეს
მიაყრებდა და „ეპეპეიონ“ იყვაირებდა.
ჩაძინებული ქალაქის გალიძება თუ
სურდა.

დამაშავე

შუალამისას მილიციის მორიგესთან
ანაფორანი მღვდელი მიიჭრა და ილუ-
მინატორის შუქით გაჩახახებულ მაგი-
დაზე ერთი ბოლუჭ ერალი თმა დაგდო.

მორიგემ სათვალე გაიკეთა და, უპი-
რეველეს ყოვლისა, თმას დახედა. მერე
მძიმედ წამოდგა, სეიფიდან ბორჯომი
გამოილო, აქლოშინებულ მღვდელს გა-
უსსნელად წინ დაუდგა და თმაზე ანიშ-
ნა.

— რა არის ეს, მათა?

— ეკრ ხედავ, თმაია, — მიახალა
მღვდელმა და გაბრაზება უფრო რომ

შეტყობოდა, განზე და ცოტა მალლა
შეაბრუნა თავი.

— რად მინდა მერე მე ეს თმა, მა-
მათ? — კვლავ მშვიდად ჰკითხა მორი-
გემ.

— რას ჰქვია, რად ვინდა. ეს თმა
ბეშკენაძის ვაცისათვის კი არ ამიგლე-
ჯია ზურგზე. აგერ აქედანაა აპუტული.

— მღვდელმა ყურს ზემოთ თმა გადაი-
წია და, ცოტა არ იყოს, გაწითლებული.
თმაშეთხელებული აღგილი გამოაჩი-
ნა, — ამდენს ვერ უნდა მიხვდე შენ?



— შეიძლება? — ჰქოთნა მორიგემ და თმას დაწვდა.

— კი ბატონო. — ნება დართო მღვდელმა.

მორიგემ უჯრიდან ლუპა დააძრო, ანაგლეჭი თმა საფეხულოთან მიუტანა მღვდელს, დიდხანს გულმოდგინედ ათვალიერებდა, და როგორც იქნა, დაასკვნა:

— კი, თქვენი თმაა.

— მერე? — ვერ ისვენებდა მღვდელი.

— რა მერე? შენი თმაია-მეთქი, ხომ გვუბნები.

— ამისთვის მოვედი აქანა? ჩემი რომას. უშენოდაც ვიცი!

მორიგე წამოლგა. სამორიგეო მოაკირს გადაეყრდნო. ცოტა ხანს ამ მდგომარეობაში შესკეროდა მღვდელს. მერე უკან დაიწყო ხელები და გაიარ-გამოიარა. მორიგეს არ ეჩქარებოდა.

— შენ, მამაო, მწვანე ბაზრის ქვევით რომ ეკლესია, იქ არ მუშაობ?

— რას ჰქვია, ვმუშაობ! — კიდევ უფრო გაწყრა მღვდელი და კიდევ უფრო მაღლა და განხე შეაბრუნა თავი.

— აბა, რავა ითქმის, — გაეცინა მორიგეს. — კი აღარ ვიცი, ეს ოხრი.

— კი არ ვმუშაობ, ვწირავ.

— ჴო, წირავ თუ ბოვშვებს ნათლავ, სულ ერთია. შენი სამუშაო მაგია. რა გვარი ბრძანდებია?

— ნუცუბიძე.

— სახელი?

— კუკური.

— რა უბრალო სახელი გრქმევიათ. — გაიკირგა მორიგემ. მისი ვარაუდით, მღვდელს საბა თუ არა, ამბროსი მაინც უნდა რჩეოდა.

— ამ შუალამეზე რამ შეგაწუხა, კუკური?

მღვდელი აიმრიშა.

— მამაო-თქვა, შე უპატრონო, თორე კუკურის მოგეცმ მე შენ. ამ ანაფორაში რომ მიყურებ, ხვარავერი გვშლება!

— რა იყო, რას მეჩხები, შე კაიკაცო.

— თუ ძმა ხარ, მე შარის თავი არა

მაქვს. შენ ენა გექავება და მე გულზე ვარ გამსკდარი. დაზარალებული მევე-დი და რავარც საჭიროა, ისე მომექეცი, თორებ დაკარგავ მაგ „პავონებს“, მამა-ჩემსა აქვს ცხონება.

მორიგემ ჭიბის დანა დააძრო და ფრჩხილების შემცნას შეუდგა.

— შენს მეტი არავინაა ამ დასაქცევ-ში?

— ნუ ილანძლები, მამა.

— შენს მეტი არავინ დარჩა აბა ამ სამართლის კარზე?

— ნუ იწყევლები, მე შენ გელაპარა-კები!

რა გინდა, ძმაო, ჩემგან. ხომ არა-ფერი მმართებს შენი. მორიგე გამომძიებელთან მიმიყვნე.

— ჴოდა, მასე დაილაპარაკე, შე კაი დემამიშვილო. ახლა შენი მღვდლობისათვის თავზე კი ვერ დაგისვამთ.

მორიგემ ადგილობრივი ტელსმენის სახელური დაატრიალა და ყურმილი აიღო.

— ოთარ უფროსო, მღვდელია. არ ვიცი არაფერი. თუ არ გძინავთ, გამოუშებთ. არის უფროსო! — მერე მღვდელს დერეფანზე მიუთითა: მეოთხე ოთახში მიბრძანდით.

მღვდელმა თმა გულმოდგინედ აკრიფა, ანთუორა აიკეცა და მეოთხე ოთახს მიაშურა.

მალე იგი მილიციის ოღასკურის ქვეგანყოფილების უფროს გამომძიებელს — ოთარ ნანეიშვილს მისივის თმა-წვერის დაგლეჭის ამაზრზენ ამბავს უყვებოდა. ოთარი ახალგაღვიძებული იყო, რაც იმაზე ეტყობოდა, რომ საფეხულებთან გაჭალარავებული ხშირი თმა უწისრიგოდ ეყარა შუბლზე და წამდაუწუმთვალებს ისრესდა.

— ახლა კი, მართალია, აკრძალული გვაქს, მაგრამ ხანდახან, რა დასამალია, და ახლადდაქორწინებულებს უას ვერ ვეუბნები. მე, მაგალითად, თუ მშაჩის ქაღალდი არ მაჩენეს, ხელს არ ვკიდებ



საქმეს. ჯვარისწერაზე უარს როგორ ვეტყოდი, მაგრამ არ მეცალა, კაცო, სტუმრები მყავდა. ეკლესია დაკეტილი იყო. ხომ გაქვთ თქვენ, ყველას სამუშაო საათები. რავა, მღვდელს არ უნდა დასვენება? ჩვენ არ ვიღლებით თუ? ამა, ერთი დღე დადეჭი ჩემს ადგილზე? მაჩრო საცეცლურის ქნევა მოგელავს და საქმევლის სუნი დაგათრობს. საღამოს ფეხებს ძლივ მიჟაროვე.

— რამდენი ხანია, რაც ამ საქმეზე პრანდება?

— ე, ისე მღვდლად ხუთი წელია და ადრე საკონსერვოში ვმუშაობდი. მე ქე მიცნობთ თქვენ. დომენტის ბიჭი ვარ, ნუცუბიძის.

— აა, პოლ, — კეფა მოიფხანა გამომძიებელმა. — ამ თმებში რას ვიცნობდი.

აზ იყო არაფერი ამ საკონსერვოში თვარა, ბალნებს გეფიცები, აზ წმოვილდო. აქ ცუდად კი აზ ვარ, მარა ამ თმამ შემჭიდა. სიცხვში სულს ვერ ვითქვამ. ამას კიდევ ვაუქლებს კაცი, მარა, რაკი მღვდელი ვარ, ზოგიერთს ჰერია, ენა. არა მაქეს პირში და ხელები დაბებული მაქეს. შაქრიოა გიორგაძეს გავალაბიდი თავს? მარა აყევი ახლა მაგას და მაგნარი იქნები შენც. ასე კი აზ გავიგებენ. მღვდელმა ცემა-ტყეპა დაიწყოო და ქე მიგაბრანენენ სამსახურიდან. აპაა, ჩვენც გვყავს ჩვენი უფროსი და ჩვენი რევეზია.

— მაინც ვერ გავიგე, მოგვარდა შაქრიოა გიორგაძე, დაგაბუტა თმა-წვერი და გაიქცა?

— მაცადე, აბა რას გიყვები. ჯერ სხვა მოვიდა. ვინცხა ხელისმომქიდე ვარო. აზ წავყევი. მერე ხნიერი კაცი მევიდა, გამომეცნურა, ვითომ ძევლი ნაცნობი იყო, ვერ წამოვალ, მე ვუთხარი. ა, ხომ ხედავ, სტუმრები მყავს-მეთქი. მეხვეურა, მარა ვერას გახდა და გეინურა კარი.

— ეკლესიიდან შორს ცხოვრობა?

— არა, იქვე, მეოთხე მოსახლე ვარ. შესამე კაცად შაქრიოა მოვიდა. შაქრიოა უბედური. ხომ იციმ მაგის თავქარიანი ხასიათი.

— კი, მაგრამ, ამ ბოლო დროს კუთხია არაფერი გამიგია. მუშაობსო, ცოლითითხვევაო. ჩემს და აყალმაყალს დაანება თავიო და ისევ დაიწყო მაგან?

— რა, ბატონო? შაქრიოას მორჩულება ასე ადვილია? ვინ თქვა, მოცეკვიანდაო. შემოვარდა, ერთ წუთს გმობრანდიო. ვიცოდი, რა საქმეზეც იყო, მარა მაინც გავხედე. წამოდი, ჩემი ძმა ცოლს ირთავს და ჯვარი უნდა დაგვწეროვო. აზ მცალია, მე ვუთხარი. იმგენს რომ ვარი უთხარი, ახლა შენ რომ წამოგყევ, შენ რა წითელი კვერცხი ხარ, მე ვუთხარი. ჩამაჯინდა და ჩამაჯინდა. აზ მცალია, აზ ვიცი მეო. გააღებ ახლა ეკლესის კერბს და ჯვარს დაგვწერო, არაფერი აზ გამოვიდა. შენი სტუმარი სტუმარია და ჩემი სტუმარი არაა სტუმარი-მეთქი, მე ვუთხარი. აზ მეცალა, ბალნებს გეფიცები, თორემ აზ მინდოდა ახლა ვითომ ფული? ამ ლაპარაკში მტაცა თმაზე ხელი და ბატიცით ბდლენა დამიწყო. ძლივს დევიბისენი თავი. შენს სახლში რომ აზ ვიყო, ერთ დერს აზ შეგარჩენდიო, — მითხრა და წავიდა. ასე ჩემი საქმე. ის ახლა ქორწილში ქიფობს და მე გულზე ვარ გამსკდარი. ერთი გაფიქრება გაფიქრე: წავლ, გვიპარსავ, მივაღვები ქორწილში, გვედავ შუბლში ტყვიას და დავასცეხებ სხვა-საც-მეთქი, მაგრამ ასე ვარგა? დაგხოცოთ ერთმანეთი? ა, ავერაა თმა და თქვენ იცით ახლა. ოთარია, თუ კაცი ხარ, ეს საქმე აზ მიფუჩებდეს, თვარა სადაც საჭიროა, იქნა მიგალ და ვინცხა გადაყვება ამ საქმეს.

— რავა გეკადრებათ, ა, ქაღალდი და დამიწერებათ ახლა რაც მოყევით, ყველა-ფერი, წერილად.

მღვდელმა დიდხანს წერა, ბუტბუტით და ტუჩების ცმაცუნით.

გამომძიებელმა საჩივარი ჩაიკითხა, მღვდელს ორ აღგილს ხელი მოაწერინა და უთხრა:

წაბრძანდით თქვენ, ახლა, მამაო. მე გავგზავნი მილიცას, მოვაყვანინებ დღესვე და ხვალ მოგვიწევს, ერთხელ კიდევ, თქვენი შეწუხება.

— ჩემი რაზე?

— დასაპირისისპირებლად.

— არა, თუ კაცი ხარ. მე ნუ გამომაჩენ. ეს ჩემი საჩივარიც არ წააკითხოთ. ვითომ სხვამ მოიტანა ამბავი თქვენამდე. არ მინდა ახლა ხალხი ავალაპარაკო, ხომ იცი, ჩვენს ქალაქს ჭორი მეტი კი არ უნდა, მღვდელი გამუტეს და მილიციაში გეიცეაო. რომ მოიყვანი იმ ხვადაგს, თვითონ იტყვის ჟველაფერს, რა ვიცი, რავა დამალავს.

— კაი. კი, ბატონო.

გასვლისას მღვდელმა თმას დახედა.

— ეს თმა იყოს თუ წავილო უკან? რთარმა კონვერტი იმოიღო.

— თქვენი ხელით ამ კონვერტში ჩაყარეთ და გარედან დააწერეთ.

მღვდელი დიდხანს ყოფილობა. არ იცოდა, როგორ დაეწერა. ჯერ იფიქრა, „მღვდელ კუკური ნუცუბიძის თმას“ დავაწერო, მეტე გადაწყვატა, „შაქრო გიორგაძის მიერ ანაბუტავი მღვდელ კუკური ნუცუბიძის თმა“ დაეწერა, ბოლოს უბრალოდ „კ. ნუცუბიძე“ და-აწერა, კონვერტს ენა გაუსვა-გამოუსვა. გულმოდგინედ დააწება და გამომძიებელს გამოეშვიდობა.

მღვდელი კუკური ნუცუბიძე მორიგის ადგილს ისე გაცდა, რომ მილიციის მოხელისათვის არც კი მიუხედავს. აქა-ოდა, მე შენთან აღარაფერი მესაქმება, მე უფრო მაღალ ინსტანციებში მაქვს საქმეო.

მამლის ყივილის დრო მოახლოებული იყო, როცა ოთარ ნანეიშვილთან უბნის რტმუნებული შევდა. გამომძიებელს მშვიდად ეძინა. რტმუნებულმა ერთი ორჯერ ჩახველა (შენჯლრევა ვერ გაუბედა უფროსს), მეტე მაგიდიდან კალმისტარი აიღო და ფანგარას მიუკაუნა. ოთარი წამოჭდა, დაამთქარა, ქუდი და-იხურა და მოსულს ახედა.

— რა პქენი?

— მოვიყვანე.

გამომძიებელი სწრაფად წამოხტა და

ტახტიდან საწერ მაგიდასთან გადაჭრა მოხდა.

— სადაა?

— აგერ მყავს, სამორივეოში.

— წინააღმდევობა ხომ არ გაუწევია?

— არა. ქორწილიდან წამოვიყვანე.

— შენ შეხვედი შიგნით?

— არა, ბაგშეს გამოვაძახებინე ეზოში. რომ ვუთხარი, გიბარებენ-თქვა, გაეცინა, რა უნდათ აწიო. ცოლს დაუბარა, ცივ „ბორჯომს“ ამოვიტან საჩდაფიდან და მოვალ ახლავეო. ასე რომ, არავის გაუგია მაგის წამოყვანა.

— კარგი დაუძახე. მოტრალია?

— არა. შაქროის დამთხობი იმ ქორწილში ვინ იქნებოდა.

— მოიყვანე და შენ, ყოველ შემთხვევისათვის, ყური აქეთ გეჭიროს.

— კი, ბატონო.

— თუ იცი, ჯიბეში ხვარაფერი აქვს?

— ვერ გეტყვით, გაჩეჩერეკა ვერ გაუბედე, არა მონია. ქორწილში დანას არ ჩადებდა ჯიბეში.

მორიგე გავიდა თუ არა, გამომძიებლის კაბინეტის კარის უკიდურეს ზედა ნაწილში შავგვრემანი, თმაგადასლექილი თავი გამოჩნდა.

— შენ ხარ? შემოდი.

ოთარი არ ამდგარა, შემოსულისათვის ხელი არ ჩამოურთმევია, რაც იმას ნიშავრდა, რომ საუბარი ოფიციალური და მეტარი იქნებოდა.

შაქრო გიორგაძე — ორმეტრიანი, ლამაზი ცხვირ-ბარის მქონე, მსხვილმა-ჯებიანი, ულვაშებიანად სუფთად გაპარ-სული კაცი, ისე მორცხვად და მოხდენილად შემოვიდა, შემოთავაზებულ სკამზე ისეთი რევერანსებით და მაღლობებით დაჯდა, რომ საქმეში ჩაუხედავი იფიქრებდა, ამ კაცს მთელი ცხოვრება საკონსულოებსა და საელჩოებში აქვს გატრებულიო. დამხვდურმა კი შევენივრად იცოდა, ვისთანც პქონდა საქმე. ეს რამდენიმე წელია დაცხრა შაქროია, ორჯერ საზოგდოებრივი წესრიგის და-

ცვის ორგანოებისგან სისხლი ჰქონდათ გამზრალი. აღმასხან გიორგაძის ბიჭი ქალაქში პირველი დამტკუყმელი იყო. პატარა შელაპარაკებისათვის კაცი ყბას აახევდა, უკელას გამომსაჩილებელი, ჩალაფორთხებული საქმის გამრჩევი და გამრიგე ეგ იყო. რამდენჯერმე სხვადასხვა ვადით ნაჯდომიც გახლდათ.

— რა იყო, ბიჭი, ვერ უნდა ისწავლო შენ ჰქუა?

— რაზე ბრძანებთ, ოთარ ბატონი.

— კი ახლა, თუ ძმა ხარ. არ დამიწყო აქანა, „ოთარ ბატონი“ და, „ოთარ პატივცემული“. რა დროს შენ ქველბიჭობაა, კაცი. ვეღარ გეიგე, რომ აღარა ძველბიჭობის დრო?

— ასე მიცნობთ მე, ოთარ ბატონი? რასაც ახლა შენ მეუბნები, მასე ვარიგებ მე შენს პატარა ბიჭს, როცა ქუჩაში შემხვდება. ნამეტანს კა ნუ მიზამ. მადლობა ღმერთს, გუშინდელები არ ვართ და მე ვიცნობთ ერთმანეთს.

— რომ გთხორა, გული მოგოვა და, კონვერტი, ბატონო, და ა, განცხადება; შენ ჩემშე ნაკლებად არ ერკევეთ კანონებში და ეს მღვდლის საქმე კა ხუთწლიანია.

— რომელი მღვდლის?

— რომელი და რომელცახას ააპუტე ეს თმა, კუკურია ნუცუბიძის.

შაქროს გაეცინა, კისრის აუსვ-დაუსვა მარჯვენა ხელი, საჩივარი გაშალა, არ წაუკითხავს, ისე დაკეცა და გამომძიებელს გაუწოდა.

— მაშ, მიჩივლა კუკურია გლახაშ? ხედავთ, რავა გამევიდნენ მთლად კაცობიდან, რავა დაკარგეს ნამსი?

— აბა, აბა. თმას რომ აგაპუტავენ უნდა გაჩერდე, მეითმინო. მილიცაში ჩივილი რა ვაუკაცობაა.

— გაჩნია, ჩემო ოთარ, რაზე აგაპუტავენ.

— რაზეც უნდა იყოს ასეთი წყენინებისათვის შენთვის რომ თმები ეპუტათ, ქე იქნებოდა ახლა გამანული ეფროსინეს ღორივით.

— როცა ღირსი ვიყაჭო, არც მაგი დაუკლიათ, ნუ გეშინია.

— რაო მაინც, რა დაგიშავა იმ კაცმაზე უნდა დამიშვაოს. კისერში რამ წამითაქა და ჩემმა ენამო, ხომ გაგიგონია. კარგად მიცნობს კუკურია. ჩვენს ქუჩაზე არ ვაიზარდა? ერთი რვა წლით მაინც ხომ ვარ მაგზე უფროსი. იმნაირი საწყალი ბოვშვი იყო, ქუჩაში რომ შემხვდებოდა, ტირილს მისით იწყებდა. ჩვენს გვერდით არ ვაყენებდით კუკურიას „ბირეაზე“, არ გაფუჭდეს და სიგლახეს არ მიეჩიოს-თქვა, მარა მაგნაირები ფულს რომ იშვივიან, ყველაფერა: ავიწყდებათ. რა მინდოდა მე, რა ვთხოვე, რა შეუძლია? სიმართლე გითხრათ, ვერიდებოდი მისვლას. მე ვთქვი, მე რომ მივიღე და უარი მითხრას, გული მეტყინება-თქვა. ორი კაცი ვაახლეთ. შენც არ მომიკვდე. ნარეს ვთამაშობ და არ მცალიაო. ჩემმა ძმამ ითხოვა, უმცროსმა, ცოლი. პატარა გოგო ვინტხა, მისნაირი გაწყიდული მეიყვანა. ენაცალოს ორივეს ჩემი თავი. ხელი რომ მაწერეს, ახლა გვირგვინიც ვითსკვნათ. შევაბმევიეთ ღომენტია ხანურძანიას თავისი დარბებული ფატონი და მივადექით ეკლესიას. ბოვშვებია, ხომ იცი, უხარიათ. მაგნისათვის საქმეა ყველაფერი. ხელისმომებელმ რომ უარი მოიტანა, წამოხტა ვიღაცა ჭარმაგი კაცი ქალის მხრიდან, მე მეცივანო, თქვა. წავიდა, ისიც გაწმილებული არ მობრუნდა? ვდგავართ შაბათის მათხოვრებივით ეკლესიის დაკეტილ კარებთან. მოიწყინა ჩემმა ძმამ. ამას თავი დაანებე, პატარძალმა ტირილი დაიწყო; იღბალი არ მეტინაო, სლუკუნებს პატარა გოგო. გული მეტწვა. მე ვთქვი, მეტი ვერ უნდა გაგიღიოს? რა ვართ აბა ჩენ მეუნდა გაეწიოს? რა ვართ აბა ჩენ მეუნდა გაეწიოს-მეთქი. ყველამ მე შემოშედა. ხომ იცი, ახლა იქთურებიც და აქეთურებიც სხვანაირად მიყურებენ. შაქრინის რავა გოუჭირდება მღვდლის გამოყვანა სახლიდან. მეტი გზა არ იყო, წავედი. ეს რა ვნახე, კაცო! ჩემთან ლაპარაკიც არ მოისურვა. ხვალ მოდით და დავწერ გვარსო. კი მარა, ხვალ რანა-

ରୀତାର୍ଥ, ମେ ପୁଅକାରୀରୀ. ଜୀବନିଷୀଳିଲୀ ଆମାମାବା.
କ୍ଷୟାଳ ପିଲାସ ଶ୍ରେଦ୍ଧା, ଶେନ୍ଦ୍ର ପ୍ରୁତ୍ସନ୍ଦି, ମେ ପୁ-
ତ୍ତବାରୀ. ଗାଘଗନ୍ଧାରୀ? ଶେମାକ୍ଷପିବା ଖୁର୍ବାଗୋ.
ନୀରଦ୍ଵା ପାତାମାଶିନ୍ଦା, କେମି ମେହେଦାଙ୍ଗ (ଏହି ଶାକ୍-
ରୀଲେ ଗାୟପିନା). ମନ୍ଦ୍ରାଧିକ କ୍ଷେତ୍ରୀ. ମନ୍ଦିର ଏହି,
ମେ ପୁଅକାରୀ, ମତଲାଦ ଗ୍ରୀବିଲ୍ଲ, ରାତ୍ର ନାର-
ଦୀର କ୍ଷେପ୍ୟାନାଶ୍ରେ, ଲକ୍ଷନଦ ବ୍ୟାଲ୍ଲା ନେ ମନ୍ଦିର-
ରୀ ତାଙ୍କେ, ନେ ଗାଢାଫିଲ୍ଲେବ, ମେ ପୁଅକାରୀ.
ଶେନ୍ଦ୍ରବୀଜ ତାଙ୍କ ପୁଅତିଲୀ ଶାଖମ୍ଭାଶ୍ରେତକ୍ଷି. ପ୍ରା-
ଦୀ, ଶାଖମ୍ଭ ନାକେବ, ମିତକରୀ. ପ୍ରେଲା ମନ୍ଦିର-
ମିନ୍ଦ ଦା କ୍ଷେ ଶେମରିହା କ୍ଷେତ୍ରି ମିଳି ଶାଗାର୍ଜ-
ନ୍ଦ ଦ୍ୱାଗାର୍ଜନ୍ଦନିଲୀ କ୍ଷେତ୍ରିରୀ.

— Ի՞նչ գրու օյն?

— ახალი შეღამებული. მე შენ გიტყვი, შორს ცხოვრობს ექლესიდან. ორი ნაბიჯი გადადგმა დაზარა.

— მერე რა ჰქონით?

— მოვტრუნდი უკან და, ჩავიტც იქნა,
დავამშვიდე სიძე-პატარაძალი, მაგნაირი
მღვდლის არც ჯვარი მინდა და არც ხა-
ტი, მე კუთხარი.

— ასე იყო ნამდვილად?

— ნამდვილად? ჩემი ტყვილი გაგო-
გონიათ საღმე, ოთარ ბატონო?

— სტუმრები მყავსო, აბა? ვინ ყავდა
ნერავი?

— ვინცხა თავისნაირი შავები ეყოლებოდა, რა ვიკი.

— ତମିଙ୍ଗର ହିନ୍ଦୁପାଇଁ କାହାରେ?

— არა მონია. კუკურია დიღი თავ-
მოყვარეა. რავა გაამხელდა. აქ რომ მო-
ვიდა, ისიც მიკვისხს.

— მოვიდა კი არა, თუ აპატიეთ, ზე-
ვით წავალო.

— კაი, კაცო, ერთს დოუბლევერ ხვალ
და თვითონ გამეიქცევა საჩივრის დასა-
ხევად. არ ვიცი მაგნაირი კაცის ამბავი?

— მართალი ვარ-მეტქი, ვამბოდ? რამ-
დენჯერ დავიფიცე, გლახასთან არ მივი-
დე საქმეზე, მაგრამ არ ვამომდის. ეს
ცხოვრება, ეს უპატრონო, მაინც ვაგი-
სერის ხელს. ვეღარ მოვითმინე. ნერვე-
ბი არ მეყო. კიდო ახლა ამხელა მაყრიო-
ნთან და მოახსენე: პატივცემულმა კუ-
კურამ არ ინგძა თქვენი ჭვარისწერა-
თქვა, რავარი საფრელია.

— სწორი ხარ. ძნელია.

ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ.

— რომელმა ძმამ შეირთოვო,
თქვი?

— უმცროსშა. კბილის ტექნიკუმი რომ დამათავრა; ჭუმბერ ვაჩიბერიძეს-თან რომ მუშაობს. რძალი მაღლაკელი პარალელური შეინიშვნის გოგოა, კაი ოჯახია, შესიერი. დედ-მამა მასწავლებლები ჰყოლია.

— თამაღალ ვინ გყავთ?

— გოგია თოლეა. კარპეს სიძე, პრო-
ფესორი ჩომაა. ქე მიყვება ჯერგერო-
ბით გვარიანალ. ახლა ჩემი წამოსცლის
მერე, თუ არ აურია.

— ბიჭო, შაქროია, შენი ძმის ქორწილში არ უნდა ვყოფილიყავი მე?

შაქროიამ თავი ჩატკიო.

— პატარა ქორწილია, ბოვშვებს ვეფუცები, ორმოცდათ კაცამდე ზის. მაგავისთვის არ დავიძიახნია. მარტი ას-ლო მეზობლები და ნათესავებია. დიდი ქორწილის თავი არ გეჭონდა.

— არც ღირს ახლა დიდი ქორწილი. ყველას მაინც ვერ დაპატიჟებ და ტყუალად ხალხს მოინდორებ.

ისევ ჩამოვარდა სიჩუმე. მამლებმა
იყიდვლეს. ცოტა ხნის შემდეგ შაქრომ
ყრულ ამოილაპარაკა.

— რავა იქნება ახლა ჩემი საქმე. ამა-
ლამვე ჩამსვამთ თუ დავბრუნდე ქორ-
წილში და ხდარ მოვიდე?

ოთარი წამოდგა. ჭიბიდან გასაღებების შეკვერა ამოილო, გულმოდგინედ დაეტა უჭრები, სეიფი, თმა გადაივარცხნა, საფრთხლებზე ჩამოშლილი ქოჩორი ქუდში შეიყეცა და ბრალდებულს მიობრუნება.

— წადი ახლა, გერ არ მივცემ მსვლელობას საქმეს და ხვალ კუკურიას მოურა რამეტორათ. ისე, თმა მეტი უნდა აგებულა, მეტის ღირსი ყოფილა.

შაქრომ ცეკვირსახოცი ამოილო, ხელი-
უგულები გაიმურალა და გამომძიებელს
თვალებში შეხედა.

— ოთარ ბატონი, პატარა ხანს... რა-
გა გვადრო მარა... ცალკე დავჭრებით...
ორად ორი ჰეთა... თუ დამილოცავ და-
ქორწინებულებს... შენთვის მოვკვდე-
ბი... ხომ იცი, შაქრო ვარ... მე... გიორ-
გაძე.

— მადლობა ღმერთს, ახლა მაინც რომ
მიხვდი, — გაულიმა ოთარმა და სტუმ-
რი წინ გაატარა.

გამომძიებელი და დამნაშავე კიბეზე

შეიარული მასლაათით რომ ჩადიოდნენ
მილიციის მორიგეობისაგან რამთა-
დააღო, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა
და ღამის „რაპორტის“ გადაწერა განაგ-
რძო. ეს მორიგე „რაპორტს“ ყოველთ-
ვის წინა ღამის მორიგისაგან იწერდა
და ტექსტი დღესაც ასეთი, სტანდარტუ-
ლი გახლდათ: „ჩვენი მორიგეობის
დროს რაიმე განსაკუთრებულ შემთხ-
ვევას ადგილი არ ჰქონია“.

გ ა რ ტ ვ ი ლ ი

მაშინ ქალაქ მოწამეთაში სამი ხიდი
იყო — თეთრი ხიდი, წითელი ხიდი და
ჯვევის ხიდი.

მოწამეთას გავლილი ჰქონდა ათასწ-
ლეულები. იგი აღარ წარმოადგენდა სა-
ტაბრო ქალაქს. მოწამეთაში რაიონის
ძლიერი მოსილვის გამო, ველარ აღიო-
დნენ ბიზანტიის დიდი სავაჭრო და სა-
ჭაბანო გემები. იაზონის კვალში ჩამდ-
გარ, საკოლეთა მაძიებელ ბერძნებს
მოწამეთამდე სანაოსნო გზა რომ ჩაეკე-
ტათ, ფაზისის ნავსადგურიდანვე უკან
ბრუნდებოდნენ ძნელი და ფათერაკიანი
გზებით.

მოწამეთას ნავსადგური ნელ-ნელა
დაცარიელდა და ჩაევდა. ამ სავალალო
ამბავს ქალაქის რამდნობე მსხვილი
მანუფაქტურის გაუქმებაც მოჰყვა,
რადგანაც ეს მანუფაქტურები ნედლე-
ულს ძირითადად გემთ ღებულობდნენ
და მსოფლიოში განთქმულ ხალიჩებსა
და დინოზავრის ძვლისაგან დაზიადებულ
საქაულებსაც ძირითადად სანაოსნო
გზით ასაღებდნენ.

სტუმრის მოუსვლელობით შეწუხე-
ბულმა ხელმწიფებ ტატრი სხვაგნ ვა-
დაიტანა და მოწამეთა თანდათანბით
გადაკეთდა პატარა, მოსაწყენ პროვინ-
ციულ ქალაქად.

საუკუნეში, როდესაც ამ ნოველში
აღწერილი ამბავი მონდა, მოწამეთას
მართავდა ქალაქის უხუცესთა საბ-

ჭო, რომელიც სხდომებს ორ კეირაში
ერთხელ, ორშაბათობით იწვევდა. სხდო-
მასა და სხდომას შორის კი ქალაქის
განმეორებულებელი იყო უხუცესთა
საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარ-
ეს თუ სადმე არ დაუძახებდნენ, სულ
თავის კაბინეტში იჯდა. თავმჯდომარის
კაბინეტს მრისანე სახის წითელფაფ-
არიანი მდივანი იცავდა. ძირითადად
მას ევალებოდა მთხოვნელთა მოგერიე-
ბა და ტელეფონის ყურმილის აღება,
როცა, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი
დარეკავდა. ძლივანს ჩვეულებრივი ტე-
ლეფონით დამრეკავისათვის ერთადერ-
თი პასუხი ჰქონდა: „თავმჯდომარე არ
არის. არ ვიცით, მაგრე ტებზე წავიდა.
სხვა ღრის სულ აქ არის“. ხანდახან,
თუ ტელეფონი შემთხვევით გადმორ-
თული არ იყო, თვით თავმჯდომარე პა-
სუხობდა ტელეფონს. თავმჯდომარესაც
თითქმის ერთადერთი პასუხი ჰქონდა:
„თავმჯდომარე არ არის, მე თანამშრო-
მელი ვარ, რა გადავცე, ვინ ბრძანდე-
ბით? არ ვიცი, ვერ გიტყვით“.

მოწამეთას ისტორიული დიდება თან-
დათანობით ლეგნდად იქცა. ამ ქალა-
ქის მკვიდრთ უკვე აღარ სჯეროდათ,
რომ ერთ ღრის მოწამეთა მსოფლიოს
ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური და სა-
ტაბრო ქალაქი იყო. აღარ სჯეროდათ,
იმიტომაც, რომ წარსულის დიდების ნი-
შანწყალი ქალაქში თითქმის აღარ დარ-

ჩა. აშშკო თვისი სინამდვილით, საოც-
რად დაშორდა მოწამეთას შარავანდე-
დით მოსილ წარსულს. რონი კირქვო-
ვანი პერიოდის უშველებელ თეორ
ქვებს შორის ძლივს ითვევამდა სულს.
ქალაქის ირგვლივ აიტის ადრინდელი
მცენარეული საფარი განადგურებული-
ყო და თვეობით ქრონდა აბეზარი ქარი,
რომელსაც ახლომახლო სოფლებიდან
ნივრის მწნილის სუნი მოჰქონდა. ამ
სუნს დღის მეორე ნახევარში ცხენის
ნაოხრალის არანაკლებ მძაფრი და სპე-
ციფიური სუნი ემატებოდა, რადგანაც
ქალაქის ძირითადი ტრანსპორტი ფაუ-
ტონი გახლდათ, ხოლო ქუჩები კი ცხე-
ნის ნაკელისაგან მხოლოდ კვირაში ერ-
თხელ იწმინდებოდა.

იქნებოდა ასე, თორმეტის ოცდახუ-
თი წუთი, როდესაც უხუცესთა საბჭოს
შენობის წინ ფაუტონი გაჩერდა. მეეტ-
ლე გადმოვიდა და პირდაპირ შესასვ-
ლელისაკენ გაემართა, მაგრამ, ზოხვა,
ოდნავ გაბზარულმა ხმაშ უკან დააბ-
რუნა.

- ეტლი თქვენია?!
- კი, ბატონი, — მიუგო მეეტლემ.
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
- სად წავიყვანო, აბა!
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
- სხვა ეტლები რომ დგას?
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!
- კიდევ ერთხელ უთხრა ბოხმა, გაბ-
ზარულმა ხმამ და იქვე, ბაბბუკის ჯოხ-
ზე აკრულ აბრაზე მიუთითა. „ფაეტონ-
სადგომი მხოლოდ უხუცესთა საბჭოს
ფაეტონებისათვის“ — ეწურა აბრაზე.
- საბჭოში მომსვლელია ხალხმა საღ-
უნდა დააყენოს ეტლი, არ მოგიქრავს
ყური? — ჰქითხა მეეტლემ.
- აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება,
- მერამდენედ გაუმეორა მკაცრმა ხმამ
და აგრძნობინა, რომ მოსულთან დის-
კუსისას გამართვის არავითარი ხალისი
არ ჰქონდა. იგი პატარა კაცი იყო. უთ-
ხეს, აქ ფაეტონები არ დავინახოთ და
სხვა არაფერი დაუვალებით.
- მეეტლემ სადაცით დაძრა ცხენები.

შვემოთ, ცირკის მახლობლად, ხეზე მო-
აბა და მათრახის ტკაცუნით აუყვა აღ-
მართს.

ეს კაცი გახლდათ გრიგოლ კალანდა-
ძე. გრიგოლი დამწყები მეეტლე იყო.
სამოცხვალდაცილებული, თბა-წვერი ერ-
თიანად გათეთრებოდა. თავზე ლერი
თმა არ ყლდა, მაგრამ ბეჭედში საქმაოდ
მოხრილიყო და სიარულის დროს მოლ-
ლილი კაცის შთაბეჭედილებას სტოვებ-
და. მარჯვენა ხელზე საჩევნებელი და
შუათთით აკლდა. შუბლზე ვერტიკალუ-
რად ღრმა ნაკრილობევი ემჩნევდა. ნა-
კრილობევის ადგილას წარბი რჩად იყო
გაყიფული. გრიგოლს თეთრი, ფუნჩულა
წარბები და ტუჩების გასწრებიც კუთხუ-
რად შეკარსული თეორი სქელი ულვა-
შები ჰქონდა. ბრეზენტისაგან შეკერი-
ლი რუხი მოსასამი ეცვა, ლურჯი
მწვანეზოლიანი გალიფეს ტიპის შარვა-
ლი, ხოლო ფეხზე — მაღალყელიანი, შა-
ვი, საგულდაგულოდ გაწმენდილი ჩექ-
მები. მეგვარ ჩექმებს ეფრეიტორზე
ოდნავ მაღალი ჩინის უმცროს ოფიც-
რებს აძლევენ ხოლმე.

გრიგოლი ორმოცი წელი ჩაფრად
მუშაობდა. მართალია, თავისი დაბა-
ლი განათლების გამო მაინც დაინც
წინ კერ წარწია, მაგრამ გამბედავი და
პატიოსანი იყო და არაერთი ჭილდო და
მაღლობა ჰქონდა მიღებული ყაჩალებ-
თან მრავალგზის შეტაკებისას თავის გა-
მოჩენისათვის. ორმოც წელს ჩაფრად
ნამსახურევი კაცისათვის, ცოტა არ
იყოს, დაბალი ჩინით გავიდა გრიგოლი
ჰენსიაზე, მაგრამ უმწიკვლო მუშაობის
გამო უფროობით ბრძანებით მაღლობა
გამოიუცხადა და წასვლისას თავისი გან-
ყოფილების მუშაკებმა გამოხათხოვარა
ვახშირიც გაუმართეს.

ჰენსიაში გასვლის შემდეგ, როგორც
ეს საერთოდ ხდება, უსაქმოდ ვერც გრი-
გოლ კალანდაძემ მოისვენა. ოჯახური
საქმეებით მაინც დაიტვირთული

არ იყო. ერთი ქალიშვილი პყავდა და ისიც დედ-მამის სურვილის საწინააღმდეგოდ, სიყვარულით გათხოვდა მცხეთაში. არ უნდოდათ მშობლებს ასე შორს შვილის გათხოვება, მაგრამ გვიანდა იყო. სიძე-ქალიშვილი თავიანთი პატარა ბიჭუნათი ქობულეთს მიმავალი გზად გამოივლიდნენ ქალაქ მოწამეთაში და მშობლებთან მხოლოდ ერთ ღამეს გაათევდნენ, რადგანაც მოწამეთა, თავისი კლიმატური პირობების გამო, მაინცდამაინც ვერაფერი დასასვენებელი ადგილი იყო. გრიგოლმა შავი დღი-სათვის შემონახული თავისი დანაზოგით ჭერ ფაეტონი იყიდა, მერე — ცხენები. მეეტლედ გახდომა გრიგოლს უცებარ გადაუწყვეტა. ეს მისი დიდი ხნის ოცნება იყო. ჩაფრად რომ დაწყო, სამსახური (ამ ორმოცი წლის წინათ), მაშინვე გადაუწყვეტა, პენსიაში რომ გავალ, შეფაიტვენ გაეხდებაო. უყურებდა ჩაფარი მოწამეთას ქუჩებში ფაეტონის კოფორზე შემოსკუპებულ, ბოხონიან მეფაიტვებს და ეს ხელობა, რატომდაც, იოლად ეჩენებოდა, სანამ თვითონ არ გამოსცადა. მალე დარწმუნდა გრიგოლი, რომ მეფაიტვეობა მარტო მოწამეთას ქუჩებში ეტლით აღმაღლამა გრიალი კი არ იყო, იგი ერთ-ერთი უქნელესი საქმე აღმოჩნდა იმ ხუთ სხვა პროფესიათა შორის, მეცნიერებას ვარგა ხნის წინათ რომ გაურკვევია. თვით ფაეტონი იმდენად არაფერი — ცხენების მოვლა იყო საქმე. ორი ცხენის შენახვა. მათი ქერი და ბალაზი, მათი ლაგაძი და სამუნელა. გრიგოლს ცხენებისა მაინცდამაინც ბევრი არ ვაეგებოდა. ყველაფრის სწავლა თავიდან მოუხდა და შათ შორის ისეთი ელემენტარული რამეებისაც კი, რომ შეკაზმვის დროს ლაგამ-ალვირით არ შეიძლება უკნიდან ან გვერდიდან მიხვიდე ცხენთან. წინიდან უნდა შემოუარო, რომ ცხენი გხედავდეს — ვინა ხარ და ჩაშია საქმე, როცა ფეხდაფეხ მიგავს, მარჯვნივ უნდა დაუდგე და ლაგაძი მოკლეზე უნდა გვეიროს... გრიგოლ კალანდაძის პატარა, კოხტა ეზო მალე

დაემსგავსა მეფაიტვის ეზოს. კალანდაზე დარჩე ლაპარაკი ხომ ზედმეტი სულ, ცხენებმა თუთის ხეებს ფოთოლი არ შეაჩინებს. შემოდგომა იწურებოდა და ცხენებს თავლა სტიტდებოდათ. სწორედ თავლის საკითხზე მიღის გრიგოლი უშუცესთა საბჭოს თავმჯდომარებისან. თავლას იგი, რასაკვირველია, თავის ეზოში დადგამს, მაგრამ ამისათვის ნებართვა საჭირო.

მოსაცდელში შემოსული მათრახიანი და ბრტყენტის მოსახხამიანი კაცი რომ დაინახა, მდივანმა ქალმა (ვითომ დიდი საქმეები ჰქონდა) ქალალდებში ჩარგო თავი და მხოლოდ მაშინ ასწია, როცა ჩემმოსანი კაცი თავმჯდომარის კაბინეტის კარის შელებას აპირებდა.

— მოიცა, მოიცათ! რაშია საქმე?

— თავმჯდომარე მინდოდა, — მშვიდად უპასუხა გრიგოლმა.

— კი მაგრამ, რომ დაადევით თავი და შედიხართ, ჩვენ რისთვის ვართ აქ, ბატონ.

— არ ვიცი. — გულწრფელად მიუგო კალანდაძემ.

— ჰოდა, რავი არ იცით, მე აგისხით, რა საქმეში მობრძანდით თავმჯდომარესთან?

— თავლის.

— რომელი თავლის? — დაინტერესდა მდივანი.

— პირველი თავლის. თავლა შინდა დავდგა ეზოში, რასაკვირველია, და ნებართვა საჭიროო, მინდა ვეითხო, ეგება არც ჟე უნდა ნებართვა, რა ვიცი.

— უნებართვოდ ვინ ჩაგადემევინებთ თავლას, მაგრამ მაგ საკითხზე თავმჯდომარე არ მივიღებთ.

— აბა რა საკითხზე მიმიღებს, ბიძიკო? — მოლბა გრიგოლი, — მე შენ ასე რომ მიყურებ, დაკარგული კაცი კი არ ვარ. თავმჯდომარეს ქე ეცოდინება ჩემი დამსახურება. მე, რასაკვირველია, ორმოცი წელი ჩაფრად ვისახურე. მაგრეს ვიცავდი და სისხლს ვღვრიდი მაგენისათვის. ახლა პენსიაზე ვარ. როგორ ატყობ შენ, არა ვარ იმის ღირსი, თავმჯდომარემ რომ მომისმინოს ერთწამს?



— როგორ არა, ღირსი ყველაა, მაგრამ თავლის საკითხზე თავშდომარე არავის ღებულობს ჯერ ერთი, და მეორეც კიდეც რომ მიგიღოთ, აქ არ არის, ობიექტებზეა.

— როდის იქნება, როდის მოვიდე?

— რატომ არ გინდათ მიბრძანდეთ
კეთილმიწყობის განყოფილების გამ-
გესთან, თავლები იმასთან შეღის.

— მასე მითხარი, შე კაი ქალო, ჩემთ-
ვის სულერთია, ვისთანაც მივალ, მე
თავლა მაინტერესებს, რასაკირველია.

— დერეფანში, მარჯვნივ, მეორე კარები, — ასწავლა მდივანშა და თავის საქმეს დაუბრუნდა.

გრიგოლმა ტყავგადაკრულ, გაბერილ
კარებს დასაკაუნებელი ადგილი ვერ
მოუნახა და ხელით ფრთხილად მიაწვა,
ოთახის სილრმიდან ცხარე ლაპარაკი
მოესმა, ეტყობა, გამგეს ვაღალ ჰყავსო,
გაიფიქრა და კარი სწრაფად გამოიხურა,
მაგრამ უკვე გვიან იყო. იმშამსვე გამო-
ვარდა ულვაშებიანად სუფთად გაპარ-
სული, მაღალი, ლამაზი კაცი და გრი-
გოლის დანახვაზე ხელები გაშალა.

— თქ; ენ ჩემთან? მობრძანდით, მობრძანდით. რატომ პირდაპირ არ შემობრძანდით. ის ჩვენი თანამშრომელია. მე დაგიძახეთ მაშინვე, მაგრამ ვერ გაგრონეთ. მობრძანდით, მობრძანდით, როგორ ვეკადრებათ, — თავზიანად უკუდგა მასპინძელი, გრიგოლს ვზა დაუთმო და სკომი თავისი ხელით გამოუწია. მერე სწრაფადვე მოკალათდა თავის აღგილას და უურადლებად იქცა.

ამასთან შემოსვლა ისე ადვილია და
ისე ტკბილად მღებულობს, რომ არაფ-
რის გამკეობელი არ უნდა იყოს,
გაიფექრა გრიგოლმა და სხვათაშორის
არც შემცირა.

— ამ სიბერეში, ჩემდა ჭირად, ფაეტონი ვიყიდე. ეგება ერთი-ორი კაპეკი გავაკეთო-თქვა. აზ შეგაწუხებდით, რა-საკვირველია, მაგრამ თავლა მინდა ჩემს ეზოში დავდგა, ერთი სიტყვით... რასაკვირველია...

განკოფილების გამგემ პირდაპირი ვა-
სუხი არ გასცა. ჯერ დაწვრილებით გა-

ମେଳକ୍ଷୟିତକୁ ମରିଯୁଲ୍ଲା କୃବ୍ରିଦ୍ଧିଦୀଶ ଦ୍ୱାରା ଜ୍ଞାନ-
ପ୍ରକାଶ ଆମଦାଗୋ; ଏଲପାତ, କାଲ୍‌ପାଠ ହରମଣ୍ଡିଲ
ଶ୍ରୀପୁଣ୍ୟ ଶରୀରପ୍ରସାଦାନ୍ତ, ଶ୍ରୀଲ୍ଲବ୍ରଦ୍ଧି ଗାଢା-
ଶବ୍ଦାର୍ଥୀଙ୍କିନ୍ଦା ଦା ଶ୍ରୀରୂପ ମିଶ୍ରପ୍ରେରଣା. ଶ୍ରୀରୂପ
ଶ୍ରୀଗନ୍ଧି କାଳନିନ୍ଦାର୍ଥ ତାତ୍ତ୍ଵବ୍ସି ଲିଖିତବ୍ସିଦ୍ବୀଳ
ଦା ଦାମ୍ଭିଶବ୍ଦାର୍ଥୀଙ୍କିନ୍ଦା ଆମଦାଗେ ହରମ ପ୍ରେବନ୍ଦା,
ଦାମ୍ଭିଶବ୍ଦାର୍ଥ ଏଲର୍ତ୍ତାଫ୍ରେଡା ଶ୍ରୀର ମାଲାପଦା,
ଶ୍ରୀଲ୍ଲବ୍ରଦ୍ଧିବାଦୁଲ୍ଲିଙ୍ଗ ଶ୍ରୀଶ୍ରୀନିନ୍ଦା ଦା ଶ୍ରୀଗନ୍ଧାଶ୍ରୀ
ମନ୍ଦିରମେନ୍ଦ୍ରିଯ ହାତୁର୍ତ୍ତାପଦା: “ରାମ ଲାକା-
ରାକାନ୍ଦତ!“ ପ୍ରତିବିନିମିତ୍ତ ହାତ୍ତାରି ପ୍ରେବନ୍ଦା
ଦା, ହରଗନ୍ଧ ଗାନ୍ଧିକୀର୍ତ୍ତା ଶ୍ରୀଦିଲ୍ଲି ପାହାରମା
ଦା ଶ୍ରୀଦିଲ୍ଲାକାନ୍ତିକିଲମା ଏହି ସାତବୀଳ ଦ୍ୱେଶିନ୍ଦି
ଶ୍ରୀମଦ୍ଭର୍ଗେ ହରଗନ୍ଧ ମିନିମିତ୍ତପଦା କୁଟେଶୀ
ହାତ୍ତରିଳି ବିନିମ୍ୟାକିନ ଗାନ୍ଧିବ୍ରୁଦ୍ଧିଲ୍ଲି ପାହା-
ରି. ହରଗନ୍ଧ ଏଲମନାହିନ୍ଦା ଦା ଗାନ୍ଧାରଗୁ-
ରା ସାହିତ୍ୟାରିଶ୍ଚ ଗାନ୍ଧିଲ୍ଲିଙ୍ଗ ବାନନ୍ଦା, ହର-
ମେଲ୍ଲାସାତ୍ର, ଏହି ମେତ୍ରି, ଏହି ନ୍ଯାଯିକାରୀ, ଶ୍ରୀ-
ମହିତ୍ୟବୀଳ ମନ୍ଦିରମା କ୍ଷେତ୍ରନ୍ଦା ଗାନ୍ଧାରିତ୍ୟେତିର-
ଲି. ଏହି ଧରନୀଲାବ୍ୟାପି, ଏହି ଶ୍ରୀଗ୍ରେହିତା ସାହ-
କ୍ଷେତ୍ରବ୍ୟାପିରେ ବିଦ୍ରହିତଦିନ, — ଦାମତାଗୁରୀ
ଦତ୍ତଲ୍ଲା ଶ୍ରୀଗନ୍ଧିମା ଦା ତାତ୍ତ୍ଵବୀଳ ମନ୍ଦାତ୍ତ-
ରାକାନ୍ଦିତ ତ୍ୟାତିନିନ୍ଦା କ୍ଷେତ୍ରବ୍ୟାପିରେ ଦାରହିଆ.
ଏହାର ତ୍ରୈ ରାମ୍ଭ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତ, ଏକାନ୍ତା କା ମିତ୍ରା-
ରାତ୍ରିଯେ ହେବିଲାମ, —ଫେରିବନ୍ଦା ଶ୍ରୀଗନ୍ଧି.

— თქვენ თვითონ არ იცით, რა და-
საფასებელი და პარიგვაცემი აღამიანი
ხართ, ცოტა დარჩა თქვენნაირი ნაბრ-
ძოლი და დამსახურებული კაცი, ძალიან
მიხარია თქვენი გაცნობა. საინტერესო
აღამიანებთან საუბარი სულიერად გა-
ამდიდრებს კაცს. რაღაც ახალს გმა-
ტებს, — დაზეპირებულივით ამბობდა
განყოფილების გამგე და გრიგოლ კა-
ლანდაძეს თვალებში შეცყურებდა.

— თქვენის ნებართვით... გეანლებით
ახლა, რასაკვირველია, — წამოდგა მე-
გტლა.

ამგერ მოიწყინა.

— ბრძანდებოდეთ კოტა ხანს.

— არა მცალია. ცირკუან ეტლი უპატ-
რონოდ მივატოვე. მეშინა, არავინ წაი-
ყვანოს. ხომ იცით, რასაკეირველია.

— „სეკრეტი“ არაფერი დააღეთ? —
ჰუითხა შეცმუნებულმა გამგემ.

— კოფონზე ქვემოდან საღისს ვარ-
ჭობ. — გაიოიმა გრიგოლმა. — მაგრამ

თუთინ ქურდებშა და მოპარულ ეტლს, ფეხშე დამდგარნი მიაქროლებდნ.

— რა გაწყობა. შემთიარეთ ყოველ-თვის ჩემთან, როცა მოიცლით. — უთხ-რა გამგემ და კარებამდე მიაცილა. მერე ითქმის, ნაერანი ხომ არ მომივიდა და დაკონკრეტა! — როცა საქმე გექნებათ, როცა რაიმე დაგჭირდეთ. თქვენისთანა ხალხს უნდა ვემსახუროთ. ეს ჩევნი მოვალეობაა, აბა რისთვის ვზიგართ აქ. რისთვის გვაძლევს სახელმწიფო ხელ-ფასს.

— ჩემი თავლის საქმე როგორ იქნება? — თავისი მოსვლის მიზანი არ დავწენია გრიგოლს.

— რომელი თავლის? — გულწრფე-ლად ჰქითხა განყოფილების გამგემ.

— რომელზედაც თავიდან გელაპარა-კეთ. ფაეტონი ვიყიდე-მეტქი, ზამთარი მოდის და ცენტრები სად დავაძა, არ ვი-ცი-მეტქი, რომ გითხარით.

— თავლის დადგმა ხომ აკრძალა ქა-ლაქში, ბატონი გრიგოლ, არ იცოდით თქვენ? — თითქოს დიდად სასიხარულო ამბავს ეუბნებაო, სეთი სახით შესცემ-როდა გამგე მოსულს და გრიგოლმა მე-ორედ გაიფიქრა, ეს კაცი ცოტა სულე-ლია, როგორც ჩანსო, — კერძო თავლის დადგმის ნებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის ვაძლევთ. მიმართეთ თა-ვმჯდომარეს. თქვენ, დამსახურებულ კაცს, გამონაკლისი გმიუტვინით.

— კი, ხომ? — იმედინად დაუდასტ-ურა გრიგოლმა.

— უსათუოდ ნახეთ თავმჯდომარე. უასს არ გეტყვით, ისეთი კაცია, ახლა, მგონი, აქ უნდა იყოს.

— არ არის, ობიექტებზე წავიდაო.

— ვინ თქვა?

— მისაღებში რომ გოგო ზის.

— ჰოოო... ეგ მართალი იქნება. ობი-ექტებზე დადის, რა ქნას, ამხელა ქალაქი აბარია. ხვალ რომ მობრძანდეთ? დაკა-ვებული ხართ ძალიან? თუ გნებავთ, თქვენი მისამართი დამიტოვეთ და რო-ცა მოვა, მე შეგატყობინებთ. ანდა სულ არ არის საჭირო თქვენი შეწუხე-

ბა. დაბრძანდით აგერ ჩემთან და დაწე-რეთ განცხადება. ყველაფერი ჩაწერობული ვინ ხართ და რა დამსახურების პატრო-ნი. თავლის ნებართვას პირდაპირ სახ-ლში გმოგოგზავნიან.

გრიგოლი დიდხანს, დაფიქტებით, უჩქარებლად წერდა განცხადებას. ჯერ თავის ვინაობა და სიგელ-გურგები ჩა-მოთვალა, ყაჩალებთან შეტაკების ერთი-ორი ეპიზოდიც გაისხენა და ბოლოს მო-ქრძალებით მიაწერა: „ვინაიდნ ვარ ორი სრულწლოვანი ცხენის პატრონი და ზამთარი მოდის; გთხოვთ მომცეთ უფლება, რათა ჩემს კუთვნილ ეზოში, ჩემი სახსრებით, ორი ცხენი რომ დაე-ტევა, იმ ზომის თავლა ჩავდგა“.

განყოფილების გამგემ გადაიკითხა განცხადება და აღფრთოვანებული დარ-ჩა. გრიგოლს კი, ყოფილ ჩაფარის და ახლანდელ მეფიატვნეს; გულუბრყ-ვილოდ სკერილდა მაშნ, რომ კარგად დაწერილი განცხადება ნახევარი საქმე იყო. თუ ნათლად ჩამოყალიბებდი შენს აზრს და დაუმტკიცებდი უფროსს, რას მოითხოვდი და რატო გეკუთვნო-და, უხუცესთა საბჭოს მეუფეს გულა აუჩუცდებოდა და მაშინვე დადებითად გადაწყვეტდა შენს საკითხს.

განვლო ზუსტად ერთმა თევემ, რაც გრიგოლ კალანდაძემ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე განცხადება შეიტანა, იგი ყოველდღე ელოდა თავ-ლის აშენების ნებართვას თუ არა, რაიმე პასუხს მაინც, მაგრამ ამაოდ.

არადა, ზამთარი არ იცდითა. ფაეტო-ნიდან გამოხსნილ ცხენებს ღამით სციონდათ და პატრონის მისამართით უსიმოვნოდ ფრუტუნებდნენ.

ბოლოს გრიგოლმა ცხენები მეუღლეს დატურვა და ფეხით გაეშურა უხუცეს-თა საბჭოსაკენ, რადგანაც იცოდა, რომ იქ ახლომახლო ფაეტონის გასაჩერებე-ლი ადგილი არსად იყო. კიბეზე ასვლი-სას კეთილმოწყობის განყოფილების გმეგე შეეჩება. გამგემ გულში ჩაიკრა მონატრებული მეფიატვნე და თავისი კაბინეტისაკენ გატყუება დაუბირა, მაგ-რამ გრიგოლმა ცოტა უხეშად მოიცი-



ლა იგი და პირდაპირ თავმჯდომარის მისალებრი დურთა თავი.

მოუსყიდველმა მდივანმა ქალმა კი-
დევ ერთხელ განუმარტა, თავმჯდომა-
რე არ გახლავთ, მაგრამ რომც იყოს,
არ მიგიცებთ, რადგანაც თავლის საკი-
თხე არავის დებულობსო.

ათი დღის განმავლობაში ყოველდღი
უხუცესთა საბჭოში ნახავდით გრიგოლ
კალანდაძეს. ამ ხნის განმავლობაში მისი
ფაქტონი იდგა, ხოლო ცხენებს თავმო-
ბეზრებული მეუღლე უვლიდა. საშაგი-
ეროდ მოსაცდელში, სხვა მთხოვნელთა-
ვინ რჩი, თავისთვის სასარგებლო რამ
ისწავლა გრიგოლმა. პირველი: მდივან
ქალს არ უნდა დაუჭერო, რადგანაც
თავმჯდომარის ყოფნა-არყოფნასთან და-
კავშირებით იგი არასოდეს ამბობს სი-
მართლეს. მეორე; თავმჯდომარეს კა-
რებში უნდა დაუდარაჯდე და დილით,
როცა თავის კაბინეტში გვერდით კა-
რიდან შეპარვას დააპირებს, ფეხებში
უნდა ეცე. თუ თავმჯდომარემ კა-
რებში შეგასწრო, იგივე უნდა გაიმეო-
რო სალამოთი, როცა თავმჯდომარე კა-
ბინეტს სტროებს (ისევ გვერდითი კარი-
დან) და შინ მიიპარება. ეს არის თავმჯ-
დომარის ნახვის ერთადერთი, ყველაზე
ნაღდი და ნაცადი გზა.

თხუთმეტი დღის ლოდინის შემდეგ,
სწორედ ამ ორი შეშმარიტების წყალო-
ბით, გრიგოლ კალანდაძე უხუცესთა
საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში იჯდა.
თავმჯდომარე უყურებდა ბრეზენტის-
მოსასხმიან კაცს და ფიქრობდა; რა გა-
ეწყობა, დამამარცხე, მეტი გზა არა
მაქვს, უნდა მოგისმინო, მარამ რასაც
გაგიკეთხ, გალაბში დაიკეხეო.

— მე ორი თვის წინათ, რასაკირვე-
ლია, განცხადება შემოვიტანე პატივცე-
მულო.

— მე დამიტოვეთ? — ჰეითხა თავმ-
ჯდომარემ.

— თქვენ პირადად არა, მაგრამ იქ
დავტოვე უხუცესთა საბჭოში, რასა-
კვირველია.

— ჰედა, აბა ჩემთან რა გინდა, გენა-

ცვალე, — განშე გაიხედა თავმჯდომარემ.

— როგორ რა მინდა! — გაწყრა გრი-
გოლი.

— ნუ დელავთ, მოქალაქევ. განცხა-
დება მე დამიტოვეთ პირადად?

— არა.

— ჰედა, ჩემთან რა გინდათ-მეტქი.
ეს გითხარით, მეტი არაფერი.

— არ მოიპარავდა ჩემს განცხადებას
არავინ. აქ იქნება სადმე. მოაძებნა-
ნეთ, — უკან არ იხევდა გრიგოლი.

— მოძებნით კი მოვაძებნინებთ, მაგ-
რამ არ შეიძლება ზეპირად მითხრათ,
რა ეწერა იმ განცხადებაში?

— მოგახსენებთ. მე ორმოცი წელი-
წადი ჩატრად ვმუშაობდი. დიდი და-
მსახურება და გამავლობა მაქვს. თქვენ
შეიძლება არც კი იცით. ყაჩაღებს დავს-
დევდი და ოთხი ჭრილობა მაქვს თავზე.
— ტანხე? — ჰეითხა თავმჯდომარემ.

— ტანხე არა მაქვს. თავში ვარ ოთხ-
ჭრ დაჭრილი. — მორცხვად მიუგო
გრიგოლმა და გაიფიქრა: მართლა, კაც-
მა რომ თქვას, ტანხე ერთხელ მაინც
რატომ არ დაგჭერიო.

— ნუთუ ტანხე ერთი პატარა ჭრი-
ლობა მაინც არ მოგეძევება? — ჩაცი-
ვდა თავმჯდომარე.

— ჩემი სახოვრისათვის ამას მნიშვ-
ნელობა არა აქვს, — გამოსავალი იპო-
ვა გრიგოლმა, — ჭილდოებს და მაღლა-
ბებს ტყუილად არ არიგებენ, იცით
თქვენ კარგად. მე ამ უხუცესთა საბ-
ჭოსთვის სისხლს ვღვრილი. და არ მე-
კუთვნის ერთი თავლა? როგორ ფიქ-
რობთ თქვენ.

— როგორ არა, — დაამშვიდა თავმ-
ჯდომარემ, — თქვენისთანა კაცს თავლა
ერთი კი არა, ორი ეკუთვნის — საზა-
უხულო და საზამთრო. რისთვის გინდათ
მაინც თავლა?

— მეფაიტვენ ვარ მე. ზამთარი მო-
ის და ცხენების დასაბმელი აღგოლი
არა მაქვს...

— ააა! — დაამთქნარა თავშედომისებ, — ახლა ყველაფერი გასავებია. ასე, შე კაცო, მე მეგონა, თავლა რაიმე სხვა სა-ქმისათვის გვირდებოდათ. მართლაც აუცილებელია თქვენთვის თავლა, ზამ-თარი მოდის და აბა სად უნდა დააბათ ცხენები?

— ოღონდაც, — დაეთანხმა გრიგო-ლი.

— მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავლის დაღმის ნებას ვერ მოგცემთ. რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ?

— ვაკისუბნის.

— მით უშეტეს, ვერ მოგცემთ თავ-ლის დაღმის ნებართვას.

— აბა, სად დავაბა ცხენები?

— სადაც გნებავთ, სადაც გაგეხარდე-ბათ.

— კარგი პასუხია, ჩემმა მზემ.

— რა ვენათ, ასე! — ამოიხერა თა-ვშედომარებ. ამ ამოიხერაში ჩანდა, მე ყოველთვის ასეთ კარგ პასუხს ვიძლევი, მაგრამ მტრები მაინც მყავსო.

— კი, მაგრამ ჩემს ეზოში, ჩემი სახს-რებით... მე... ჩემი დამსახურება... ერთი თავლა... ორი ცხენი... არ დავიმსახურე? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა გრა-გოლი და სიბრაზისაგან ტუჩები უშრე-ბოდა.

— ძალიან ვაფასებთ თქვენს დამსახუ-რებას, მაგრამ არ შეგვიძლია და ვერ დაგეხმარებით. არც გვეონია ჯერჯერო-ბით შემთხვევა, რომ ვინმესთვის თავ-ლის ჩადგმის ნებართვა მოგვეცეს. — აშკარად იცრუა თავშედომერებ.

— როგორ არა, იმან და იმან ამ ერთი კვირის წინ ჩადგეს თავლები ეზოში! — ამ სიცრუისათვის მზად აღმოჩნდა გრა-გოლი.

თავშედომარებს არ უყვართ, საერ-თოდ, როდესაც ამგვარ ტყუილზე პირში შეტეხავენ და ფეტების ენით ელაპარა-კებიან. ასე თავხედი ხარ ხომ? რა ნე-ბართვასაც წაიღებ აქედან, ნახავ იმასა-ცო, — გაიფიქრა მან. თქმით კი სრუ-ლიად სხვა რამ თქვა.

— თუ ასეა, მე შევამოწმებინებ იმ თავლებს. მაგრამ იქ რაიმე სხვა საბურთო სამართლებრივი იქნება.

— არა, ბატონო!

— ვნახავ, გავარკვევ. კარგია, რომ სიგნალი მომეცით.

— მაგრამ ეს რას უშველის ჩემს გა-ჭირვებას. მე თავლა მინდა, გესმით თუ არა. ჩემთვის თავლა აუცილებელია!

— თქვენი ცხენებისათვის, უფრო სწორად, — გაუსწორა ხუმრობის გუ-ნებაზე დამდგარმა თავშედომარებ.

— დიხ, რასაკვირველია. თქვენ აქ იმისთვის ზიხართ, რომ ადამიანებს გუ-ნება მოუშხამოთ?! — აღუღდა გრიგო-ლი.

— ნუ ყვირით, — ჩუმად, მშვიდად უთხრა თავშედომარებ. — თქვენ რა დიდ გულზე ხართ. თვალში ხომ არ გვპატა-რავებით თუ იცით. აქ შემოსული ყვე-ლა ჩემზე პატიოსანი როგორ არის და ყველას ჩემზე დიდი დამსახურება რო-გორა აქვს, ეს მიკვირს, მეტი აზაფერი. თქვენ, ყოფილმა ჩაფარმა, რომელსაც არ ვიცი, იქნებ მართლაც გაქვთ მად-ლობები და ჭილდოები მიღებული, მე-ეტლეობა დაიწყეთ და ზალხს ატყა-ვებთ. წამიტირეთ ახლა ყელში ხელი. არიქა არ შეცივდეს თქვენს ცხენებს!..

— კაცო, მე ჩემს ეზოში, ჩემი სახს-რებით პატარა თავლა ჩავდგა, თქვენ რა შუაში ხართ?!

— არ შეიძლება, მორჩა და გათავდა! გრიგოლი კიდევ დარჩებოდა ცოტა ხანს და თავშედომარესთან კამათს განა-გრძნობდა, მაგრამ უეცრად რაღაც აზრ-მა გაუნარა გონება და სირბილით დატო-ვა კაბინეტი. მეც შტერი ვარ. რას ვაკ-ლავ ამგენს თავს. მივალ და ავაშენებ თავლას. ამათ შემყურეს ცხენები სიცი-ვით მომიკვდებაო, — ფიქრობდა გზადა-გზა გრიგოლი და დოპინგმიღებული კა-ცივით მარდად ადიოდა თავის აღმარ-თზე.

ერთ კვირაში გრიგოლმა თავის ეზოში ხის შშვენიერი თავლა ჩადგა.

მესამე დღეს თოთი კაცი მოადგა. უხუცესთა საბჭოს დადგენილებით უნებართვოდ აშენებული თავლა უნდა დაგინგრიოთ. საბუთი აგერ გვჯევს, შეიარაღებულები ვართ და წინააღმდეგობას აშჩი არა აქვთ.

ერთ საათში მიწასთან გაასწორეს თავლა. მასპინძელს სულგრძელობისათვის მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

„აშკარად მჩაგრძავენ, — ფიქრობდა გრიგოლი, როცა თავლის ნაგრევებს ერთ კუთხეში ალაგებდა, — ეტყობა, რაღაც დავაშვე და არ მეუბნებიან. ასე რომ არ იყოს, უფრო ადამიანურად მოშეკეოდნენ. თავლა რა არის, ბინა რომ მომეთხოვა, უნდა მოეცათ, მე ხომ მაგათვის ვიბრძოდი, მაგათვის ვლვრიდი სისხლს. ეტყობა, რაღაც დიდი დანაშაული მაქვს ჩადენილი“.

გრიკოლი ამ დღის შემდეგ შესამჩნევად გამოიცვალა. გუნება გაუფუჭდა მოქადარელი დადიოდა წინ და უკან ეზოში. ცოლს თთქმის აღარ ელაპარაკებოდა. მას ვერ წარმოედგინა, თუ მოვიდოდნენ და თავის ეზოში საკუთარი ხელით აშენებულ თავლას დაუნგრევდნენ. ცდილობდა გაეხსენებინა, რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ჩაფრად მუშაობის ორმოცი წლის განმავლობაში. ვერავერი ისეთი ვერ გაიხსენა და ამან უფრო დაანალელიანა. გრიგოლი მის ჴიშეართან ჩავლილს ყველას შიშით შესცეკროდა. სულ ეწვენებოდა, აგერ-აგერ მოვლენ ჩემს წასაყვანადო. გადიოდა დღეები, გრიგოლი არავის ახსოვდა და მის წასაყვანადაც, რა თქმა უნდა, თავს არავინ იწუხებდა.

შუა ზამთარში გრიგოლ კალანდაძემ სიცივისაგნ დაოსებული ცხენები ამათ ტანჯვას მაიც არ ვუყურო, ნახევარ ფასად გაჰყიდა. ერთ კვირაში ფაირნისაგნაც დაიცალა ხელი და შვებით

ამოისუნთქა. იგი შეეტლე აღარ იყო ეს საქმე რომ მოათვა, ენერგიის უცნა-ური მოზღვება იგრძნო. არაჩეულებრივმა უინმა შეიძყრო; რაღაც უნდა დაგდომოდა, მიეღწია თავლის აშენების ნებართვისათვის. დღედაღმ თავლაზე ფიქრობდა სადაც კი თავლას დაინახდა, მიადგებოდა პატრონს და შეკითხვებით გულს გაუწვრილებდა, რა გზით მიაღწიო თავლის ჩადგმის ნებასო. მასპინძელთა უმეტესობას მიგზავნილი ეგონა და სიმართლეს უმაღლავდნენ. ბოლოს ვიღაცი ასწავლა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს (რომელმაც ასე მასხარად აგიგდო), უხუცესთუხუცესთან უჩივლეო.

გრიგოლმა გააშანშალა ღრმაშინაარსიანი განცხადება და უხუცესთუხუცესს მიაკითხა. უხუცესთუხუცესთან შესვლა უხუცესთა საბჭოს უფროსის მონახულებაზე ორჯერ უფრო ძნელი აღმოჩნდა, თუ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე ნიადაგ კაბინეტში იჯდა (ეს უკვე გრიგოლმა კარგად იცოდა) და მდივანი ქალი უსირცხვილოდ ამბობდა, აქ არ არისო, უხუცესთუხუცეს სამსახურში საერთოდ არ დადიოდა. როგორც ჩანს, კაბინეტს, რომლის კარებთანც გრიგოლი დილიდინ შუალე-მედე იცდიდა, მთხოვნელთა მოსატყუებლად ეწერა „უხუცესთუხუცესი“. სინამდვილეში მას სხვა სამუშაო თახანი ჰქონდა, სადაც იგი თვეის რთულ საქმიანობას მთხოვნელთა გარეშეც შესანიშნავად ართმევდა თავს. ეს კაბინეტი (როგორც ეს შემდეგ გრიგოლმა გაარყევია) სულ სხვა შენობაში იყო. გრიგოლმა უხუცესთუხუცესის ფიქრიურ შენობაში ერთი თვეის სიარულის შემდეგ დაადგინა მისი საცხოვრებელი აღგილი.



ვირა გრიგოლმა კაბინეტის მცველე სამოქანდაკო კარი გამოიჯახუნა.

მიღილიდა ქუჩაში და ეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველა მასზე ჭკვიანი და მასზე მოხერხებული იყო. ეს სერიოზული სახეები, რაღაც მანქანებით, ყველა ფერს აღწევენ, რასაც კი მოისურვებენ, მე რა ღმერთი მიწყრება, არ ვაციო. ეგონა, რომ ამიდენა ქალაქში ყველაზე დაჩაგრული და პატარა კაცი ოპლა თვითონ იყო — ყოფილი ჩაფარი გრიგოლ კალანდაძე.

მეორე დღეს უხუცესთუხუცესის ფიქტიურმა მდივანმა ქალმა (ნამდვილი მდივანი ქალი მას თავისი ნამდვილი კაბინეტის მისალებში ეჯდა) გრიგოლს ცხვირწინ თავისი განცხადება უფრაალა: „გაეკეთდა თქვენი საქმე, ბიძია, გეშველთა თქვენც და ჩვენც. წეხელის დაადი რეზოლუცია“.

— რა დააწერა? — გულისყანაკალით ჰეითხა სიხარულისაგან ათრითოლებულ მა გრიგოლმა:

მდივანმა განცხადება გაუწოდა. „უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარებ: გთხოვთ განიხილოთ და მთხოვნელს პასუხი აცნობოთ.“

— ესაა რეზოლუცია?! — აყვირდა, გრიგოლი. — უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს რომ რაიმე გაეკეთებინა, იქ არ და ვდიოდი სამი თვე? ეტყობა, არც კი წაუკითხავს ჩემი განცხადება. მე ვუჩიდიდი უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს და ისევ იმასთან გამგზავნა მაგანაც? კი უხუცესთუხუცესი გყოლიათ, შენ ნუ მომიკვდები. დიდი მოსაზრების და მოფაქრების კაცი ყოფილხარ-თქვა, ასე გადაეცი ჩემგან!

მდივანმა ქალმა წარბები შეჰყარა: მოქალაქევა, აქ დებოშს ნუ ტეხავთ და უხუცესთუხუცესს ნუ ლანდლავთ, თორემ პასუხს გაგებინებთო.

— იმნაირი იქნება შენც! — შეუბლ-

გავიდა ერთი კვირა. გრიგოლი ცოტა დამშვიდდა, მას ავადმყოფურად უყვარდა ეს თავლა, თუმცა უკვე აღარაფერში სჭირდებოდა. თავლაში იგი თავის შესაძლებლობის, თავისი დაკარგული ღირსების აღდგენს ხელავდა. დილიდან სალამომდე სახლიდან არ გადიოდა. ეზოში იჯდა და თავლას დარაჯობდა.

ერთი კვირის თავზე მიაკითხეს. ეზოში ჩაფარი და სამი მუშა შემოვიდა, ჩაფარმა გრიგოლს მხედრული სალამი მისცა და წყნარად უთხრა: „თქვენ მანც უნდა გამიგოთ. ხომ იცით, მე პატარა კაცი ვარ. მითხრეს, შეასრულეთ და უნდა შევასრულო“.

— რა გნებავთ? — ჰეითხა გრიგოლმა.

— თავლა უნდა დაინგრეს, — მოჭრა ჩაფარმა და მუშებს ნიშანი მისცა.

გრიგოლს თვალთ დაუბნელდა და იქვე ჩაიკეცა. იგი თითქო ძილქუშში იყო. ბურუსში ხედავდა, დაცურავდნენ მუშები მისი თავლის ირგვლივ და შორიდან ნაღვლიან რექვიზები ისმოდა.

როცა გონს მოვიდა, თავლა აღარ იყო. მის ნაცელად ეზოში უწესრიგოდ მიყ-

რილ-მოყრილი ნაგვერდულები და ქვა-ლორდი ეყარა.

გრიგოლმა ტუჩები მოკუმა, რომ ამ გაცხადებულ გულზე აუგი რამ არ წა-მოცდენოდა.

გავიდა ხუთი წელი.

გრიგოლი არ ისვენებდა. წერდა გან-ცხადებებს, დადიოდა ინსტანციიდან ინსტანციაში, მოითხოვდა, მიექციათ ყუ-რადღება მისი აღრინდელი დამსახურე-ბისათვის. იღებდა ასლებს თავისი ჭილ-დოების და მაღლობებისას და განცხა-დებებს თან ურთავდა. ყველა განცხადე-ბა და საჩივარი ბოლოს უხუცესთა საბ-ჭოს თავმჯდომარეესთან იყრიდა თავს. თავმჯდომარე კა, რაც დრო გადიოდა, უფრო მტკიცე უარზე იდგა.

გრიგოლმა რწმენა დაკარგა. დაბერდა, დაგლახავდა, დაჩიავდა. ოჯახში კაპიკის სალირალი არ შემოჰქონდა. პენსის ამა-რა ცხოვრობდა. იპარავდა თავისი სახ-ლიდან ვერცხლის დანა-ჩანგალს და ფა-იფურის თევზებს, რათა თავისი მრავა-ლრიცხვოანი განცხადებების საფოსტო ხარჯები და მანქანაზე გაღაბეჭდვის ფუ-ლი მაინც გადაეხადა. გრიგოლს უკვი ნერვებს ალაზ უშლიდა ლოდინი. იცო-და, ვისთან როდის და რანაირად უნდა შესულიყო. იდგა დილიდან სალამომდე სახელმწიფო დაწესებულებების წინ და თავლის ნებართვას ელოდა. სხვა საქმე-ებიც გაუჩნდა; იგი სიამოვნებით ასწავ-ლიდა გზებს და არიგებდა ახალბედა მთხოვნელებს.

ბოლოს განახვრებული და ილაპა-შევეტილი გრიგოლ კალინდაძე უხუც-ეცესის კაბინეტსაც ესტუმრა. უთხეს, კარგი კაცაო, თუ არაფერს გაგიკეთებს მოგისმენს მაინც. ყოფილმა ჩაფარგა უუხუცესს დაწვრილებით უამბო თავისი დამსახურების შესახებ. მერე ასევე ვრცლად გააცნ საქმის ისტორია და ცრემლმორევით სოხოვა; ექვსი წელია. ამ საქმეს დაფსდევ, ქენით სიკეთე, მო-მებმარეთ, ალარა ვარ მეტი, მოვკვდი დაციო.

უუხუცესი მაშინვე ყურმილს და მაშინვე უუხუცესი წელი ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. ექვსი წელი ატყუებდნენ გრიგოლს კაბინეტე-ბში მსხდომი მკაცრი სახეები: წაბრძან-დით თქვენ და დავრეკავთ ჩვენო, მაგ-რამ გრიგოლის საქმეზე არავინ არავის-თან არ რეკავდა. ამ კაცმა კი მაშინვე, იქვე, გრიგოლის თანდასწრებით მოიხმო ტელეფონთან უხუცესთა საბჭოს თავ-მჯდომარე.

— თქვენ ბრძანდებით? — ჰქითხა მან, — გრიგოლ კალანდაძე იყო დღეს ჩემთან. რაშია საქმე! ექვსი. წე-ლია კაცმა თურმე თავლის აშენების ნებართვა ვერ მიიღო. თქვენ რა, აბუჩად იგდებთ? გან რამდენი გუავთ მასავით დამსახურებული და პატივსაცემი კაცი. რაო? როგორ გეკადრებათ, ეგ სიტყვა რა მოსატანია, ეგ ჩვენ არ გვეხება. ეგ მედიცინის უნდა გაარკეოს, მოითმო-ნეთ, უუხუცესმა ტელეფონის ყურ-მილს ხელი დაუფარა და გრიგოლს მა-უბრუნდა:

— რამდენი ნანია, საჩივრებს წერთ? — ექვსი წელი, — მიუგო გრიგოლმა.

— ბევრს წერთ?

— კი.

— არ შეიძლება ამდენი ჩივილი, ბა-ტონი გრიგოლ. თავმჯდომარე ამბობს, ინტრიგანიაო. მაგისი საჩივრები სკი-ვრში არ ჩაეტევაო. შეაწუხა ქვეყანა გა-უთავებელი ინტრიგებით. მართლა ასე? კიდევ სხვა რაღაცას ამბობს, მა-გრამ ვერ გიტყვით, უხერხულია.

— რას ბრძანებთ, ბატონო. მაგ გა-თახსირებულის გერათ? გამამწარეს კა-ცი. მასხარად ამიგდეს და გაბუმდე აბა? აბა, თავლის გარდა სხვა საქმეზე თუ დამიწერია განცხადება, ან საჩივა-რი.

— ვიცი, მე მჯერა თქვენი, — უთხა უუხუცესმა და ტელეფონის ყურმილს ხელი მოაშორა, — თქვენ, ბატონო, არ გვპატიებათ ამგვარი მსჯელობა. რას ჰქვია, ინტრიგანი. თავისი სიმართლისა-

თვის მებრძოლ კაცს ინტრიგანს უწოდებთ? არა და არა! მე თქვენ კატეგორიულად არ გეთანხმებით. არაფერი ეტყობა, სრულიად არაფერი, დიახ, რაღაცაში შეეტყობოდა. ისეთქვს მე მაშინვე ვცნობ... მოიცა ერთ წუთს, — უუხუცესმა ისევ დააფარა ყურმილს ხელისგული და გრიგოლს მიუბრუნდა.

— კი მაგრამ, თავლის ნებართვა რომ მოგცეთ, ცხენები გყავთ?

— არა.

— ფაქტონი?

— არა.

— აბა რისთვის გინდათ თავლა?

— მინდა, ვინ კითხავს მაგას. პინციპის საქმეა... მინდა თავლა... მეკუთვნის... რომ არ მეკუთვნოდეს, სხვა საქმეა... რასაკვირველია... ვერ ვისვენებ... ადგილს ვერ ვპოულობ. ღმმე თავლები მესიზმრება... — ცოტა არეულად ლაპარაკობდა გრიგოლი.

უუხუცესმა ყურმილს ხელი აუშვა.

— თქვენ მართალი ბრძანდებით. როგორც ჩანს... არა ჰყოლია, ჰო (გაეცინა) მჭირდებაო. აუცილებელიაო (ისევ გაეცინა), კარგად ბრძანდებოდეთ. სხვა რა ამბებია თქვენები ახალი? ჭერ არ განგვიხილავს. განვიხილავთ და გამოგიგზავნით. — ყურმილი დაღო, თვალები

მოისრისა და გრიგოლს მიუბრუნდეთ. — ახლა შინ წაბრძანდით, ბატონო გრიგოლ. ნუ ინერვიულებთ. თქვენი აღელვება არ შეიძლება. ყველაფერი გაყეთდება, ყველაფერი კარგად იქნება. მშვიდად იყავით. თავლის აშენების ნებასაც დაგრთავენ და სხვა რამესაც გაგიკეთებენ. თვითონ მოგაკითხავენ. ყველაფერი შეთანმებულია. ყველაფერი გაყეთებულია!

ლილაქს თითო დაჭირა და თანაშემწეს სთხოვა. — გაცილეთ ბატონი გრიგოლი.

როცა გრიგოლი კარებისაჲენ შებრუნდა, უუხუცესმა საფეხელთან ცერათთი მიიღო და მარჯვენა ხელის თითვი პარაზი აათამაშა, რითაც გავირვებულ თანაშემწეს ანიშნა, ბატონი გრიგოლი მთლად კარგად ვერ არისო.

სალამი ხანი იყო. გრიგოლ კალანდაჟე შინ ბრუნდებოდა.

ქალაქ მოწმეთას ქუჩებში ფაქტვნები დაქროლნენ.

გრიგოლმა, ხელმარცხნივ, ეზოში ლამაზი თავლა დალინდა, მერე მეორე, მესამე... თავლა ყოველ ფეხის ნაბიჭე თვალში ეჩირებოდა. ქალაქი თავლებით იყო სავსე.

გრიგოლ კალანდაჟე ბებერი იყო.



ბ ე ზ ი

ღამის ორი საათია. მილიციის სა-
მორიგეოში ლეიტენანტი ზანგურაშ-
ვილი ზის და მოწყენილობისგან არ
იცის, რა ქნას. ტიტველ ედლებს და
ფანჯრის დაორთქლილ მინებს მტვრი-
ანი ნათურა ანათებს. მაგიდის და კე-
დელთან ჩიტჟრივებული რამდენიმე
სკამის გარდა, ოთხში არაფერი დგას
და ამიტომ დიდი და არამყალრო ჩანს.
ზანგურაშვილი მოწყენილი უცერს
ხის მოაგირით გამოყოფილ ნიშს, რო-
მელიც დამნაშავებისთვისაა განკუთ-
ვნილი, ახლა კი ცარიელია, მერე მის
ყურადღებას კედელზე მჯდომი ბური
იყრობს. ბუზი ზანტრად მიცოცავს,
თითქოს მოძრაობა ეზარება. ზანგურა-
შვილს უნდა, რომ ადგეს და მოკლას,
მაგრამ ბუზი ძალიან მაღლაა, თითქმის
ჭერთან. „რა უნდა ამ ზამთარში
ბუზს? — ფიქრობს იგი. — ზამთარში
ბუზებს სძინავთ. საინტერესოა, სად
სძინავთ ბუზებს?.. შეიძლება, არც სძი-
ნავთ. ასე ამბობენ, მაგრამ არავის არ
უნახავს მძინარე ბუზი. — იგი თვა-
ლებს სუკავს და ცდილობს, მძინარე
ბუზი წარმოიდგინოს. — აი, დათვი
სულ სხვაა, შეცვრება ბუნაგში და სძი-
ნავს. მძინარე დათვი უნახავთ, ბუზი კი
არა... მანც სად სძინავთ ზამთარში
ბუზებს?.. იქნებ თბილ ქვეყნებშა ზიფ-
რინავენ?..“ ზანგურაშვილი ერთხან
ფიქრობს, მეტე ბეზრდება და ისევ
ბუზს უცერს, რომელიც ახლა ჭერზე

მიცოცავს. „საინტერესოა, რატომ არ
ვარდება?.. მანც რა უცნაური მწე-
რია, თვდაყაირა დადის და არ ვარაე-
ბა, ზამთარში საღლაც სძინავს... უცნა-
ური მწერია...“

ოთხში მძლოლი სერგო შემოდის
და რადიატორთან ხელებს ითბობს.
იგი რამდენჯერმე ამთქნარებს, სკამს
რადიატორთან დგას, მოხერხებულად
ეწყობა და თვალებს სუჟავს. ლეიტე-
ნანტი ჭერს უცერს და ფიქრობს.

— სერგო! — უძახის ცოტა ხნის
მერე ზანგურაშვილი. მძლოლი თვალს
ახელს.

— სერგო, სად სძინავთ ზამთარში
ბუზებს?

სერგო ჭერ გაკვირვებული უც-
ერს, მერე უხალისოდ ამბობს:

— მე რა ვიცი.

ერთხანს ჩუმად სხედან, სერგო
დაორთქლილ მინაზე თითით რაღაცას
ხატავს.

— საინტერესოა, სადა სძინავთ? —
თვევისთვის მსჯელობს ზანგურაშვილი.

— მოგცია შენც, რა... ოოოოპი...
— სერგო გრძლად ამთქნარებს, — რა-
ში გაინტერესებს ბუზი? — იგი მინას
თითს უსვამს და დახატულს შლის.

„რა კაცია, არაფერი არ ინტე-
რესებს, — ფიქრობს ზანგურაშვილი.
— ლინოს არ სვამს, ქალებთან არ და-
დის, წიგნებს არ კითხულობს; ჭაღრა-
კის თამაში არ იცის. სულ ზის და

რაღაცაზე ფიქრობს... საინტერესოა, რაზე ფიქრობს? — იგი მძლოლის სახეს ავიირდება. ოდნავ ლია, დამძიმებული ქუთუთოებიდან ჭროლა თვალები ჩანს და ძილის სურვილის შეტა სახე არაფერს გმოხატავს. ლეიიტენანტი უჯრას აღებს, შიგ ქალალდები, სამაგრები, წვერწატეხილი ფანქარი და „პრიმის“ ცარიელი კოლოფი ვდია. იგი უჯრას ხურავს და ისევ მძლოლის უცემს. სერგოს თავი ჩაუქანდავას და თვლებს. თეთრი კედლის ფონზე მკვერტად იხატება მისი პროფილი. „რამხელა ცხვირი აქვს, — ფიქრობს ზანგურაშვილი, — თმაც შეოქელებია, თითქმის მელოტია... ასეთები არ მოსწონთ ქალებს, თუმცა რაღა ღროს მაგის ქალებია... საინტერესოა, ლამაზი ცოლი ჰყავის?.. ლამაზი არ წაყვებოდა ასეთ მანინგს, ძალიან გრძელი ცხვირი აქვს, მე რომ მახელა ცხვირი მქონდეს, გავგიუდებოდი“. ზანგურაშვილი იხმორება, მერე ფანქარისთან მიდის, დაორთქლილ მინაში იცემობა, ცხვირზე ხელს ისეამს და კმაყოფილი ოთახში ბოლოთას სცემს. მერე მინას ხელს უსვამს და ქუჩაში იცემობა. გარეთ წვემს. ტროტუართან სველი მოტოციკლეტი დგას და სიცივგასან თითქოს მობუზულა. „ბრეზენტი მანც გადაეფარებინათ“, — ფიქრობს იგი, ბრუნდება და სერგოს კეფის ხედავს.“ „რამხელა ყურები აქვს... მე რომ მახელა ყურები მქონდეს... ღამე იღბათ ხერინავს. საცოდავი მაგის ცოლი, ძნელია ასეთ გულჩათხრობილ კაცოან ცხოვრება, შეიძლება მთელი დღე ხმა ირ ამოილს, არაფერი არ აინტერესებს, ქალებზე ვერ ელაპარაკები. რაზე უნდა ვესაუბრო ასეთ კაცს? ჭადრაკის თამაში მანც იცოდეს, ვეთაშებოდოდი...“ ზანგურაშვილი ჰქებს უცემს, მერე კედლებს, მაგრამ ბუზს ვერ პოულობს, ბეზრდება სიჩქმე და ხმამალია ახველებს. მძლოლი თვალს ახელს.

— რას იყლავ, კაცო, თეს, წადი მანქანაში დაწეჭი, ფეხს მანც კამარ-

თვა, — ეუბნება ზანგურაშვილის მძლოლი გაუნდრევლად ზის და იატაზე ერთ წერტილს მიჩერებია, თითქოს არ ესმის. მერე იზმორება, ამთქნარებს, სკამზე მოხერხებულად ეწყობა, და ეტყობა, ისევ ძილს აპირებს.

— ჭადრაკი მანც იცოდე, ვეთაშებოდი, — ამბობს ზანგურაშვილი.

— შაში ვითამაშოთ, — უხალისოთ თავაზობს მძლოლი. სერგო კარგად თავაშობს შაშს, ზანგურაშვილმა იცის, რომ ვერ მოუგებს და არასდროს არ ეთამაშება.

— შაში რა თამაშია?.. აი, ჭადრაკი, მესმის, გონებრივი თამაშია.

— შაში არა გონებრივი?

— შაში რა გონებრივია. ყველა თამაშობს.

სერგო ამთქნარებს, მერე ჩუმად ზის, ერთ წერტილს მისჩერებია და სახეზე ეტყობა, საუბრის გავრჩელების არავითარი სურვილი არა აქვს.

— ჭადრაკი გონებრივი თამაშია, — ამბობს ზანგურაშვილი. — იცი, რამხელა აზრია ჭადრაკში ჩადებული?.. ჭადრაკი პატარა სახელმწიფოა, ფიგურები კი ადამიანებია. ყოველ ფიგურას თავისი დანიშნულება აქვს. აი, ზაგალითად, მეფე. მეფე ყველაზე დადი ფიგურაა და დანარჩენ ფიგურებს მართეს. მერე მოდის ლაზიერი, ანუ დედოფალი. ლაზიერი მეფის მარკვენა ხელია. მერე მოდის ეტლი, მხედარი და კუ, ყველაზე პატარა ფიგურები, პაიებია. პაიები ივივე რიგითი ჯარისკაცებია და წინა ხაზზე იბრჩევიან. პაიებშიც გარკვეული აზრია ჩადებული. ყველა პაიე, თუ კარგად იბრძოლა და არ დაიღუპა, შეიძლება ნებისმიერ ფიგურად გადაიქცეს, გარდა მეფისა, ე. ი. დაწინაურდეს. მაშ ასე... ჭადრაკი პატარა სახელმწიფოა, უფრო სწორად, ორი სახელმწიფო: თეთრები და შავები. თეთრებს თავისი ჭარი ჰყავს, რომელსაც თეთრი მეფე მართავს, შავებს — შავი მეფე. თეთრი მეფე ომს უცხადებს შავ მეფეს და იწყება ბრძოლა. პირველად პრძოლაში



